2758

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 28 მარტი, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 13 (172) ფასი 30 კაპ.

## საბავშვო ლიტერატურის ამოცანები

უკანასკნელ ხანებში ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღების სფეროში აქტუალურად დადგა ქართული საბავშვო ლიტერატურის გარდაქმნის საკითხი. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა წერილი, რომელიც, მიმოიხილავდა რა ჟურნალ „პიონერის“ განვლილი წლის შემოქმედებითს პროდუქციას, ამხილდა მრავალ ნაკლს, რომლებიც ახასიათებენ ხსენებული ჟურნალის მუშაობას. ამავე საკითხებზე შეაჩერა თავისი ყურადღება თათბირმა, რომელიც შესდგა მწერალთა კავშირში და რომელმაც ფართოდ განიხილა არა მარტო ხსენებული ჟურნალის, არამედ საერთოდ ქართული საბავშვო ლიტერატურის მტკივნეული საკითხები.

მთავარი, რაც საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობისას ყოველ წუთს უნდა გვახსოვდეს, არის ის გარემოება, რომ საბავშვო ლიტერატურა, საბავშვო ჟურნალი მთლიანად უნდა განვიხილოთ ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის დიადი ამოცანების თვალსაზრისით. ყოველგვარი შემთხვევითობა, საქმის თვითდინებაზე მიგდება ამ სფეროში უდიდეს ზიანს მოგვიტანს, — ხელს შეგვიშლის შევხედოთ საბავშვო ლიტერატურას, როგორც აღზრდის რთული სისტემის განუყრელ და ორგანიულ ნაწილს.

ასე, მაგალითად, საბავშვო ლიტერატურის წინაშე უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანად სდგას—მიიღოს მან აქტიური მონაწილეობა ბავშვთა შრომითი აღზრდის საქმეში. ამ ამოცანის გადაჭრას უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ. სოციალიზმი აშენებულია შრომაზე, შრომა და სოციალიზმი განუყრელნი არიან ერთი მეორისაგან, შრომის უფლება არის ის, რაზედაც საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო ადამიანები; ეს ოცნება დღეს ბრწყინვალედ განხორციელდა და სსრ კავშირში შრომა თავისი კეთილმოქმედებითი ზეგავლენით ჰქმნის და აძლიერებს ადამიანში სოციალისტურ ეპოქის თვისებებს, ზრდის ახალი ადამიანის ახლებურ ჩვევებს, ახალ ფსიქოლოგიას, ამაღლებს ადამიანს, ავსებს მის შეგნებას სიამაყით თავისი სამშობლოსადმი, თავისი საქმისადმი, აღვიძებს ენტუზიაზმს და აძლიერებს მას.

ამიტომ საჭიროა ბავშმა თავიდანვე შეიგნოს სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი, იცოდეს და სწამდეს, რომ შრომა სახელისა და ღირსების საქმეა, შრომა საამაყო მოწოდებაა ყოველი საბჭოთა მოქალაქისა. ბავშვის შეგნებაში ამ რწმენის განმტკიცებისათვის იბრძვიან სკოლა და ოჯახი. ამისათვის იბრძვიან პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები. აქეთ უნდა მიმართოს თავისი ყურადღება საბავშვო ლიტერატურამაც, საბავშვო პოეტებმა და პროზაიკოსებმა.

ამ აღზრდის პროცესში განსაკუთრებით დიდი როლი უნდა ითამაშოს საბავშვო ლიტერატურამ. მას ამისათვის ყველა შესაძლებლობა გააჩნია. ის არის მძლავრი იდეური და ემოციური ზეგავლენის იარაღი, რომელსაც შეუძლიან ბავშვის ნორჩ გულში მტკიცედ და აღმოუფხვრელად ჩანერგოს სოციალისტური ადამიანის უკეთილშობილესი მისწრაფებანი. საბავშვო წიგნი, ლექსი და მოთხრობა, საბავშვო ჟურნალი და გაზეთი უნდა მოუთხრობდნენ ბავშვს წარმტაც ფერადებში სოციალიზმის ადამიანების შრომაზე. „ჩვენი წიგნების მთავარ გმირად,—ამბობდა მაქსიმ გორკი,—უნდა ავირჩიოთ შრომა, ე. ი. შრომითი პროცესების მიერ ორგანიზებული ადამიანი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შეიარაღებულია თანამედროვე ტექნიკის მთელი სიძლიერით,—ადამიანი, რომელიც თავის მხრივ ხდის შრომას უფრო ადვილ, პროდუქტიულ საქმედ, აძლევს რა მას ხელოვნების ხარისხს. ჩვენ უნდა შევიჩვიოთ გვესმოდეს შრომა, როგორც შემოქმედება“. ეს ამოცანა მთელი სიმძლავრით სდგას არა მარტო საერთოდ ლიტერატურის, არამედ საბავშვო ლიტერატურის წინაშეც.

მაგრამ განა საკმაოდ გვაქვს ჩვენ წიგნები, განა ჩვენი პრესის ფურცლებზე ქვეყნდება ნაწარმოებები, რომელნიც უპასუხებდნენ ამ ამოცანას? განა გვაქვს წიგნები, რომელნიც ბავშვის შეგნებაში გამოიწვევდნენ აღფრთოვანებას ნოვატორული შრომის სასწაულებრივ წარმატებათა წინაშე? ასეთი ხასიათის წიგნებისა და ნაწარმოებების სიმცირეს მწვავედ განიცდის ჩვენი ნორჩი მკითხველი. მის ცნობისმოყვარე ბუნებას უაღრესად აინტერესებს — იცოდეს იმ ადამიანებზე, ვინც მეცნიერებასა და ტექნიკაში ახალი გზები გაკვალა, ვინც დაიმორჩილა ბუნება და ადამიანის სამსახურში ჩააყენა იგი, ვინც გაუვალ ტაიგაში ახალი ქალაქები ააშენა. ამასთან ერთად მწერალი უნდა ნერგავდეს ბავშვის შეგნებაში პასუხისმგებლობის გრძნობას, შრომის კულტურას და შრომის დისციპლინას. ამის გარეშე ის მომზადებული და სათანადოდ გამოწრთობილი ვერ გამოვა ცხოვრების ასპარეზზე, ამის გარეშე ის ღირსეული და სასახელო მოქალაქე ვერ გახდება ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოსი.

ბავშვთა ამ შრომითს აღზრდასთან, რომელშიაც საბავშვო ლიტერატურამ უდიდესი და უაქტიურესი მონაწილეობა უნდა მიიღოს, უშუალოდ დაკავშირებულია ბავშვთა სამხედრო აღზრდა. ჩვენს ქვეყანაში შრომისა და თავდაცვის საქმე განუყრელია ერთი მეორისაგან. ვსწეროთ ისე, რომ ბავშვს ადრეული ასაკიდან უკვე უყვარდეს მთელი გატაცებით, მთელი არსებით სამხედრო საქმე, რომ ის აღფრთოვანებული ელოდეს იმ დროს, როცა თითონაც თამამად ჩადგება მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში, როგორც სოციალისტური სამშობლოს ღირსეული დამცველი. განუზომელია ის ინტერესი, რომლითაც ბავშვები ეპყრობიან მხატვრულ ნაწარმოებებს სამხედრო თემაზე და, კერძოდ, ჩვენი გმირული წითელი არმიის ბრძოლისა და ცხოვრების თემაზე. ამ ინტერესს ჩვენ მეტწილად ვერ ვაკმაყოფილებთ. მთავარი ამ მხრივ ჯერ ისევ მომავალში გვაქვს გასაკეთებელი. ის წიგნები, ის ნაწარმოებები, რომელნიც სამხედრო თემას ეხებიან და გამიზნული არიან ჩვენი ბავშვებისათვის, ჯერ მხოლოდ დასაწყისია. საჭიროა უფრო მეტი და უფრო მაღალი ხარისხის მხატვრული პროდუქცია, რომელიც გააძლიერებს ბავშვის შეგნებაში სამშობლოს სიყვარულის უდიდეს გრძნობას.

ჩვენი ბავშვები ოცნებობენ, რომ მომავალში გახდნენ მფრინავები, მამაცი ტანკისტები, თავგანწირული დამცველები სამშობლოსი, და ჩვენი ამოცანაა მივცეთ მათ ნათელი წარმოდგენა ყველა ამ სამხედრო სპეციალობის შესახებ.

შრომა და თავდაცვა უნდა გადაიქცეს ჩვენი საბავშვო ლიტერატურის მთავარ თემად. ეს არის ახლა ჩვენი საბავშვო ლიტერატურის მუშაკების, მწერლების ყველაზე გადაუდებელი ამოცანა.

## სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების საღამო

ლ. ბერიას სახელობის კულტურის სახლში 20 მარტს მოეწყო პოეტ სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების საღამო.

პოეტის შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბესარიონ ჟღენტი. მომხსენებელი შეჩერდა სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების ყველა ეტაპზე. აღნიშნა, როგორ ვითარდებოდა პოეტის შემოქმედება ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში, როგორ მოექცა იგი საბჭოთა პოეზიის მოწინავეთა რიგებში, როგორ დასძლია პოეტმა ფორმალისტური გატაცებები და როგორ გახდა პოეტური კულტურის ხაზით აქტიური მებრძოლი სოციალისტური რეალიზმის განმტკიცებისათვის.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა სიმონ ჩიქოვანის უკანასკნელი ხუთი წლის შემოქმედებითს პროდუქციაზე. პოეტის ამ პერიოდის ნაწარმოებნი, — განაცხადა მომხსენებელმა — ხასიათდებიან მკაფიო პოეტური სურათოვნებითა და მძაფრი ლირიული აზროვნებით.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების ცალკე მხარეებს შეეხნენ თავიანთ სიტყვებში ლევან ასათიანი, ვასო გორგაძე და იონა ვაკელი. პოეტური სიმძაფრე, თემატიური მრავალფეროვანება და სიახლე, შემოქმედებითი ორიგინალობა და მაღალმხატვრული ხარისხი, გამძაფრებული პოეტური სინათლე და ლირიული სიღრმე — აი, რით ხასიათდება ს. ჩიქოვანის უკანასკნელი დროის ლექსები,—განაცხადეს ორატორებმა.

მოხსენებისა და სიტყვების შემდეგ სიმონ ჩიქოვანის ლექსები წაიკითხეს გიორგი ლეონიძემ, გიორგი ქუჩიშვილმა, ალექსანდრე საჯაიამ, კალე ბობოხიძემ, ბონდო კეშელავამ, გიორგი კაჭახიძემ, ალიო ადამიამ, ვერა შუბლაძემ და ადგილობრივი ლიტერატურული წრის წევრებმა.

საკუთარი ლექსებით გამოვიდნენ სანდრო ეული, გრიგოლ ცეცხლაძე და რევაზ მარგიანი.

დასასრულ, სიმონ ჩიქოვანმა წაიკითხა რამდენიმე ახალი ლექსი. დამსწრე საზოგადოება პოეტის გამოსვლას თბილად შეხვდა.

საკონცერტო განყოფილებაში მომღერალთა გუნდმა და მეჩონგურეთა ანსამბლმა შეასრულა იონა ტუსკიას „სიმღერა სტალინზე“, რომელიც სიმონ ჩიქოვანის სიტყვებზეა დაწერილი.

## მ ე მ ა ნ ქ ა ნ ე

**დავით სულიაშვილი**

ოცმა წელმა განვლო მას შემდეგ. რა დრო იყო! ახლა რა გვიჭირს! შენ ის იკითხე, ტალახსა და მაზუთში რომ ვიყავით გათხუპნული, — კაცს ეგონებოდა, შავი ტყავის ხალათი აცვიაო...

ახლა რომ ელექტრომავალზე დავჯდები, თუნდ გახამებულ პერანგს, თეთრ საყელოსა და მანჟეტებსაც გავიკეთებ. მე შენ გითხრა, არ გაისვაროს! იმ ორთქლმავლისაგან მუდამ გამურული ვიყავი!

ჩემ „მერცხალას“ კიბეს რომ ავირბენ, რბილ სავარძელში ჩავჯდები, სახელურს ნელა მოვწევ და რკალივით მოხრილ თითბრის კბილების ნაჭედში ჩავაჭდობ, — შემადგენლობას ისე დავძრავ, თითქოს არაფერიაო. ნავთის ორმოციოდე ცისტერნი სპილოებივით აძუნძულდება, გეგონება, ბავშვს ძაფის კოჭები ერთმანეთზე გადაუბამს და მსუბუქად მიათრევს თავის ნებაზეო.

წინათ კი, სანამ მატარებელს დავძრავდი, ორთქლმავალს უნდა დაეყვირა, დაეჭექ-დაექუხნა, ცხელი ორთქლი ეფრქვია, შეტორტმანებულიყო და, მძიმე ვაგონებს რომ ვერ მოერეოდა, ერთ ადგილს აძიგძიგებული, ბორბლებს რელსებზე დაატრიალებდა, კვამლსა და ნაპერწკლებს გაჰფანტავდა, უკან დაიხევდა, ისევ წინ გაიწევდა, დაუსტვენდა და ბოლოს, ნელი სვლით ვაგონებს დასძრავდა.

ვენაცვალე ელექტრომავალს! ის არც დაიქუხებს, არც აორთქლდება, არც აკვამლდება, მაზუთით არ გაგსვრის, ნაპერწკლებს არ აფრქვევს და არც შეტორტმანდება... ირმის ხმით დაიყვირებს, შეუმჩნევლად დასძრავს კანადის ცისტერნებს და, ისრებს რომ გადასჭრის, სწორ ლიანდაგზე ისე გასრიალდება, როგორც შურდული.

ახლა ჩვენს სოფელს ელექტრომავლით რომ ჩავუქროლებ ხოლმე, ორღობეებს გავხედავ,—ჩემი ბავშვობა მაგონდება. დილა ადრიან მამა-ჩემი ბოსლიდან ხარებს გამორეკდა, მე კათხას მივარბენინებდი და ურმის ღერძს გავსაპნავდი. მერე ის კოფოზე წამოჯდებოდა, სახრეს ხელში დაიჭერდა და მეც წამიყვანდა ტყეში შეშის მოსატანად. ხარებს ჯერ კიდევ ნესტოებში ბზე გაჩხეროდათ, ფერდებზე გამხმარი ნეხვი მიჰკვროდათ და ტალახში ამოსვრილი კუდების ქნევით, ისეთი ზლაზვნით, ისეთი ნელი ნაბიჯით მიათრევდნენ კონკილიან ურემს, თითქოს სასაკლაოზე მიდიანო...

— თბრიე! შე ვერანავ!..—გადაუჭერდა მამა სახრესა. ერთი კი შეკუნტრუშდებოდა ნიკორაი, კუდსაც გააქნევდა, მაგრამ, შენ არ მომიკვდე, ის ფეხს არ აუჩქარებდა.

ხის ტოტები ხშირად ურმის ჭალებს ედებოდნენ. მხოლოდ მაშინ დაირღვეოდა ტყის მყუდროება. მამა-ჩემსაც მობეზრდებოდა ეს დუმილი და აღიღინდებოდა: „ჰარიჰარალი, ჰარაალეეე!

„აღზევანს წავალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი, მერე შვილსა
და ცოლსაო“.

მერე რამდენ ხანს უნდებოდნენ მარილის მოტანას! რის კვირეები, მთელი თვეები...

ჩვენი სოფლიდან მატარებელს რომ გავხედავდი, ვიტყოდი, ნეტა ერთი იმაზე დამსვა და ქალაქი მაჩვენა-მეთქი. ჰო-და, ცოტა რო წამოვიზარდე, მამას ვუთხარი, ხაშურში წამიყვანე და რკინიგზაში მიმაბარე-მეთქი. ისიც ჩვენს მწერალს შეეხვეწა, — „შენი ჭირიმე, შენ ბევრი ნაცნობი გყავს ხაშურში და იქნებ ეს ბიჭი რკინიგზაში დამიყენოო“...

აქი მართლა ამისრულდა ნატვრაი: ერთ დღეს რკინიგზის სახელოსნოში შეგირდად მიმიღეს. ჯერ მანქანების ნაწილებს ვწმენდავდი, ვასუფთავებდი, ვაპრიალებდი. მერე მატარებლის ბორბლების მზეთავად გადამიყვანეს. აბა მაშინ უნდა გენახეთ, როგორი გათხუპნული ვიყავი მაზუთით!

მალე ზეინკლობა დამაწყებინეს. ცოტახნის შემდეგ მემანქანის თანაშემწედ დამნიშნეს. უუუ!.. უუ!.. დაიყვირებდა ჩემი ორთქლმავალი და აფრქვევდა ნაპერწკლებს. ტანისამოსი მუდამ ნესტიანი და გალესილი მქონდა; ჭუჭყისაგან ვერ შეამჩნევდი, რა ფერისა იყო ან ხალათი ან შარვალი.

კვირაობით კი, სოფელში რომ წავიდოდი, სუფთა ტანისამოსს ვიცვამდი, — რკინიგზის ფორმის ღილებიან პალტოს. ვიხურავდი კარტუზიან ქუდს. მამა-ჩემი მომადგებოდა და მეუბნებოდა:

— ბიჭო, რატომ ცოლს არ ირთავ? განა დრო არ არის, შვილო? აბა ამდენ გოგოებში, რაც ჩვენს სოფელშია, ერთი აღარავინ მოგეწონა განა?

ის კი არ იცოდა, რომ ჩემი გული უკვე დაკოდილი იყო... ჩვენს სოფელში ძალიანაც მიცქეროდნენ გოგოები, გასუფთავებულსა და პალტოში გამოწყობილს რომ დამინახავდნენ, მაგრამ მაზუთში რომ ვიყავი ამოგანგლული, აბა მაშინ ვის მოვეწონებოდი? ჩემს გულის დამწველთან კი მუდამ ასე მიხდებოდა შეხვედრა.

ყვირილით და ღრიალით შევარდებოდა ხოლმე ცისტერნებ-მობმული ჩემი ორთქლმავალი სადგურ მოლითში. და აი სწორედ აქ აძგერდებოდა ხოლმე ჩემი გული. ორთქლმავლიდან ჩამოვხტებოდი თუ არა, სუფთა პატრუქით ხელებს შევიწმენდდი, ხალათს გავისწორებდი და სადგურის გვერდით ერთსართულიან ქვიტკირის სახლთან სეირნობას დავიწყებდი. ბაღჩაში ნუცა გამოვიდოდა,—ისეთ სუფთა ტანისამოსში გამოწყობილი, ისეთი თეთრი სახითა და წინ ორტოტად ჩამოშვებული ნაწნავებით, რომ იმისი დანახვა სულ თავბრუს მახვევდა. დალაპარაკებას კი ვერ ვახერხებდი,—ისე ვუცქეროდი შორიდან. ეს იქნებ იმანაც შემამჩნია და ყასიდად გაივლიდა ხოლმე ბაღჩაში, — ხან წყალი მიჰქონდა, ხან სარეცხი...

ერთხელ, როგორც იქნა, გავბედე და გამოველაპარაკე, — „წყაროს წყალი იქნებ გქონდეს, დამალევინე-მეთქი“...

წყალი მართლა დამალევინა. დოქი მოვიყუდე, ნიკაპზე წვეთები ჩამომდიოდა, იმას კი თვალს ვერ ვაცილებდი.

მეორე ჩავლაზე კიდევ გამოველაპარაკე, მაგრამ დიდხანს კი არ ჩერდებოდა სალაპარაკოდ. ეშმაკურად შემომხედავდა, თითქო გაიღიმებოდა, და გარბოდა. მე კი გულდათუთქული გავუდგებოდი ხოლმე ჩემ გზას.

განა არ ვიცოდი, რომ თავს ვერ მოვაწონებდი ჩემი გათხუპნული სახით! ვიცოდი. ვიცოდი, რომ გულიდან უნდა ამომეგლიჯა იმისი სიყვარული. ვიცოდი, რომ ოცნება იყო ყველაფერი... სად მე, და სად ის, — ტელეგრაფისტის შვილი, ნასწავლი და დედისერთა? მე კი გლეხის შვილი და მემანქანის თანაშემწე, გალუმპული ტანისამოსით. იმას აბა რად მოვეწონებოდი? ეს კი ვიცოდი, მაგრამ გული რომ არ მისვენებდა! მივუახლოვდებოდი თუ არა მოლითს, ჩამოვხტებოდი მანქანიდან, ვტორღიალებდი მის ბაღჩის გვერდით და ვოცნებობდი.

მერე დანაღვლიანებული ისევ ჩემს მანქანაზე ავიდოდი. უზარმაზარი, უხეში, ტლანქი ორთქლმავალი ისე შემომხედავდა, როგორც მრისხანე ბატონი. ქონდრის კაცივით დავცოცავდი ტენდერზე და მის მრგვალ ზურგზე. მაზუთს ვასხამდი, ბორბლებს ვწმენდდი, ვასუფთავებდი, ღუმელს ვახურებდი.

ვიწრო ხევის დაღმართში რომ მიხრიგინებდა, რელსებს და შპალებს დაზნექდა, ხრიალებდა. ტენდერი ცალკე ხტუნაობდა. სადღაც ცხელი წყალი იღვრებოდა, სადღაც მაზუთი ჟონავდა. გავარვარებულ ღუმელთან მუხლი ხურდებოდა.

როცა მოლითს ვუახლოვდებოდი, ტენდერზე უმეტესად ჩემი გული ძგერდა. ნუცას მაინც ვინახულებდი, რაც უნდა დამმართნოდა. თუ არ გამოველაპარაკებოდი, შორიდან მაინც შევხედავდი.

ერთხელ, ღობესთან რომ დავდიოდი, შემეკითხა:

— ხომ არაფერი დაგკარგვია მანდ, რას ეძებ?

— არა-მეთქი! — ვუპასუხე,—სანამ მატარებლის კვერთხს მოგვცემდნენ, დროს მოსაკლავად აქეთ გამოვიარე. თქვენ კი მთელი დღე რომ შინა ხართ, ნეტა რას აკეთებთ, ან დროს როგორ ატარებთ?—შევეკითხე.

— მე მთელ დღეს ვმეცადინეობ, დაუსწრებელ კურსებზე ვირიცხები და ახლა გამოცდები უნდა ჩავაბაროო...

როგორც თორნეში ალი ავარდება, ისე ჩემს სახეს ალმური გაეკრა. სხეული ამითრთოლდა, გული მეტკინა. რაღა ვქნა, ეს რაღაც კურსებს ათავებს და მერე როგორღა მივეკარები-მეთქი!

თავბრუდახვეული, თითქო შეურაცყოფილი, გამოვბრუნდი უკან.

— რა გემართება, ფეხი ვეღარ გამოადგი? — მიყვირის მემანქანე, —ვერა ხედავ, კვერთხი მოაქვთ?

ორთქლმავალზე ავცოცდი, ღუმელში მაზუთი მივუშვი. დაღონებული, დადარდიანებული მანქანის შავ მუცელს გაშტერებული თვალებით შევცქეროდი, თითქოს რაღაც დამეკარგა. დანაღვლიანებული დავიარებოდი, ნუცას ბაღთანაც აღარ მივდიოდი. იმედი დამეკარგა...

მაგრამ ვენაცვალე ბოლშევიკებს! აქაც იმათ მიშველეს.

ჩვენ საყუდში ხმა გავარდა—მალე ზაჰესი დამთავრდება და ელექტრომავალი ამუშავდებაო. აგვარჩიეს ვინც ტალიკი ბიჭები ვიყავით და რუსეთში გაგვგზავნეს ელექტრომავლის მემანქანეობის შესასწავლად. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ძალიან მიცემდა გული. მინდოდა ნუცასთან მივსულიყავ და მეცნობებინა ჩემი ბედნიერება. კიდეც გავიარე იმის ბაღჩისკენ, მაგრამ ისევ უცბად უკან მოვტრიალდი: რომ დავბრუნდები და ელექტრომავლით გამოვივლი, მაშინ ვინახულებ მეთქი,—გავივლე გულში და წავედი რუსეთში...

აბა რა დამავიწყებს იმ დღეს, რუსეთიდან რომ დავბრუნდი! პირველად რომ ელექტრომავალზე აველ კოსტუმში გამოწყობილი, რბილ სავარძელში ჩავჯექ და მოლითისკენ გავწიე ჩემი მატარებლით! აღარც ღუმელი, აღარც მაზუთი, აღარც ორთქლი და აღარც კვამლი!

მერცხალივით მიჰქრის ლიანდაგზე ელექტრომავალი და ირმის ხმით გაჰყვირის. ჩემი ნუცა თვალწინ მიდგა. მისკენ ვისწრაფვი, „მერცხალას“ ფრთეზე ვზივარ, იქით მივფრინავ... მაგრამ, რაღა ვქნა, შინ რომ არ დამიხვდეს? იქნებ გათხოვდა? იქნებ მთლად დამივიწყა? იქნებ ვინმე სტუდენტი შეიყვარა? რა ვქნა მაშინ? ამდენი ხნის სიყვარულმა იქნებ უშედეგოდ ჩამიარა?

„მერცხალა“ კი მიფრინავს გამალებული. აგერ ლიხი, და მალე ელექტრომავალი ერთმანეთზე გადაბმული ცისტერნებით პირღია მთის ხახაში შესრიალდება. ახლა დახუთული ჰაერი კი აღარ არის გვირაბში, ისეთი გრილი, სუფთა ნიავი მიჰქრის, რომ გული აგიჩქროლდება...

ელექტროს სვეტი პროჟექტორივით ანათებს წყვდიადს. „ჭახ-ჭახ-ჭახ!“ უცბად გაისმის დაწკრიალებული ზარის ხმა, —ჩვენ უღელტეხილს მივაღწიეთ.

თავბრუდამხვევი სისწრაფით მივქრით წყვდიადში. ელექტრომავალი ძაგძაგებს. უკანიდან გვაწვებიან ცისტერნები. პანტოგრაფი მავთულზე დაკვესავს, ნაპერწკლებს აფრქვევს და წყვდიადში გაიელვებს. გრუხუნებენ ბორბლები, ტკაცუნებენ რელსები. უკან მირბიან ელექტროს სანათები... უცბად დღის ნათელი რგვალად მოგვეფენს თავის სხივებს, და გვირაბიდან გამოცვივდებიან ცისტერნები.

ახლა ვიწრო ხევში მიჰქრის მატარებელი. მოსახვევში რკალივით იხლართებიან მრგვალი ზურგები. ხან ერთს გორაკს, ხან მეორეს კუდს მოავლებენ. მჩქეფარე, აქაფებული მდინარე მოხტის, ლეკვივით გვიღრენს. უკან მოგვდევს, არა გვცილდება. ხან აქეთ, ხან იქით,—ქვებს და ზოდებს თავს გადაევლება.

მაღალსა და გრძელ ხიდს თავს გადავევლებით. ხრიალით მისრიალებს ელექტრომავალი. ჩემი გულიც ბორგავს. აგერ სემაფორიც გახსნილია!

საყელოს გავისწორებ, ჩემს კაბინს გავხედავ,—სუფთა, ლამაზი, აცქრიალებული... რბილი სავარძელი, ელექტროს ღუმელი, მცენებასავით აყუდებული მაჩვენებლების დაფა, კონტროლერი. კრიალა ფანჯრიდან გავცქერი, როგორ ინთქებიან შპალები, როგორ მისრიალებენ წვრილ ხაზებად ლიანდაგის კენჭები.

უკან გავიხედავ და ცისტერნების გძელ რიგს რომ ვუცქერი, სიამაყით ივსება ჩემი გული. ახლა უმნიშვნელო ვინმე კი არა ვარ! მეც ჩემი წვლილი შემაქვს ტრანსპორტის საქმეში და საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო შვილებს ვეთანაბრები. აი ეს ნავთით სავსე ცისტერნები ჩვენი ზაჰესის ელექტროს ძალით საიდან სად მიმყავს ამ ტყე-გორაკებში? ამ საერთო საქმეში, საერთო მუშაობაში მეც ჩაბმული ვარ და ამიტომაც გულზვიადი ვარ!

მიფრინავს ჩემი მერცხალა! უუ! უუუ!.. ვაყვირებ ელექტრომავალს და მასთან ერთად ყვირის ჩემი გულიც: უძახის ნუცას, უხმობს იმას, რომელიც მთელი წელიწადია აღარ მინახავს. ნეტა როგორ დამხვდება? რას მეტყვის? აგერ შევსრიალდით სადგურის რელსების ბადეში, გადავჭერით ისარი, ერთი, ორი... აგერ ნუცას სახლი, ბაღჩა, როგორ აძგერდა გული?! გავირბინეთ მაღალი სადგური და ხრრრ... ახრიალდნენ მუხრუჭები.

კაბინიდან ჩამოვხტები, მივრბივარ. ბაღჩასთან უცბად შევდექი, შემრცხვა, — რომ დამინახავენ, რას იტყვიან?

მაგრამ ნუცა რატომ არა სჩანს? რაღა ვქნა! იქნებ შინ არ არის? იქნებ აქედან წავიდა?

ბაღჩას გარს ვუვლი, მაგრამ ნუცა სად არის? ხომ არ დავუძახებ! დრო კი მიდის, მას ვერ ვხედავ! მატარებელს აქ დიდხანს არ გააჩერებენ. იმის უნახველი კი როგორ წავალ? და უცბად იგივე თეთრი კაბა ბაღჩაში აშრიალდება. თავს ზევით ვიწევ. გამალებით ვსუნთქავ. ვიცქირები. ვერა მხედავს... ვაიმე, რაღა ვქნა, რომ ვერ დამინახოს?.. ჩავახველე. მოიხედა, ჩემსკენ მოდის. მომიახლოვდა...

— თქვენა ხართ? ვეღარც-კი გიცანით! სხვა სამსახურში დადექით?

— არა, ისევ იქ!

— მერე, სად იყავით აქნამდის?

— მოსკოვში!

— მოსკოვში! რა გინდოდათ?

—ვსწავლობდი, ახლა მე ელექტრომავლის მემანქანე ვარ! აი ეს ცისტერნები მე მიმყავს!

ყელში ბურთი მეცობა. ვხედავ, როგორ გაფართოვდნენ მისი თვალები, როგორ მიცქერიან განცვიფრებით. საფეთქელი გამალებით მიცემს. სადგურისკენ გავიხედავ, — მეძახიან. უკვე მატარებელი უნდა წავიყვანო. ნუცასთან ლაპარაკი ჯერ არც კი დამიწყია, სათქმელი კი იმდენი მაქვს, ორ დღეს ვერ დავასრულებ!

— თქვენ ახლა ელექტრომავალზე ევლით?

— მაშ!

— მაჩვენებთ თქვენს კაბინს?

— მაშ!

როგორი ლურჯი თვალები გქონიათ! — მეუბნება და მიღიმის.

— ახლავე, ახლავე!—გავძახე ჩემს თანაშემწეს.

— უნდა წახვიდეთ?

— მეძახიან!

—იქიდან როდის ამოივლით?

— მერე, თქვენ...

— დაგხვდებით! ვინახულებ თქვენს კაბინს.

კვლავ მიჰქრის, მიფრინავს ჩემი „მერცხალა“. განა მახსოვს, როგორ ჩავირბინე მარელისი, ხარაგოული, ძირულა, შორაპანი. ზესტაფონში კი მოვხსენი ჩემი მანქანა.

იმ დღესვე დავბრუნდი უკან. ვინახულე ნუცა. ვაჩვენე ჩემი კაბინი. ჩემი რბილი სავარძელი, მანქანები, ძრავები, ვენტილატორები, საქაჩავები, მუხრუჭები. მერე მეორე კაბინში გავიყვანე, ვეუბნები:

— მე სულ შენზე ვფიქრობდი მოსკოვში.

— მეც გიგონებდი. გახსოვს ბაღჩასთან რომ დადიოდი? მერე კი აღარსად სჩანდი!

— ახლა?

— ახლა რა?

— მითხარი, არავინ გიყვარს?

— არა, არავინ!

— სხვას რომ უყვარდე ვინმეს?

— რა ვიცი!

— მაგალითად, მე?

— მეც შევიყვარებდი!

— ნუცა!

შევძახე და თვალებში შევხედე.

— ვიცხოვროთ ერთად!

— ერთად!

მერე აღარ მახსოვს... მხოლოდ ტუჩები, ცხელი ტუჩები, სხვა არაფერი!

O

ამისრულდა ოცნება!

ახლა ორი ბიჭი მყავს. ორივენი სკოლაში დაიარებიან, ორივეს მფრინავად უნდა წასვლა.

ვენაცვალე საბჭოთა საქართველოს!

## ი. სელვინსკის — „ბაბეკი“

22 მარტს მწერალთა კავშირში ცნობილმა რუსმა პოეტმა ილია სელვინსკიმ წაიკითხა თავისი ახალი ნაწარმოები „აბდალახის შვილი ბაბეკი“. ნაწარმოების თემად პოეტს აღებული აქვს აზერბაიჯანელი ხალხის შორეული წარსულის განმათავისუფლებელი ბრძოლის მეტად საინტერესო ეპიზოდები. თავის პიესაში ავტორმა გვიჩვენა ხალხის საუკეთესო შვილების ბრძოლა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლას მეთაურობდა ხალხის ისტორიული გმირი — ბაბეკი.

ი. სელვინსკის პიესაში საუცხოვოდ არის დაცული ისტორიული და ნაციონალური კოლორიტი ეპოქისა. ნაწარმოებმა მაღალი შეფასება მიიღო. მის იდეურ და მხატვრულ ღირსებებზე ილაპარაკეს ს. ჩიქოვანმა, ბ. ჟღენტმა, შ. სოსლანმა, გ. ცაგარელმა და კ. ჩერნიავსკიმ.

დასასრულ, სიტყვით გამოვიდა ი. სელვინსკი.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ სელვინსკის გამოსვლას და საღამომ მეტად ეფექტიურად ჩაიარა.

# ძველი დაირა და მუხამბაზი

## კრებულიდან: „ყაბახის აჩრდილები"

**გიორგი ლეონიძე**

ნაღამურია.
   მთვარემ გასცურა,
უკრავს დაირა გადაქანცული;
ტაშის ძგერაზე მუხამბაზურად
ხმას ააყოლებს ნაზი ქალწული.

ჩამდგარა წრეში როგორც ჯერანი,
გულს მეწვეთება მისი გალობა,
რა ერთად ჟღერენ: ცრემლნი, ძგერანი,
ოხვრა, გულისთხრა. მტეხიარობა.

ხმა მიფერფლილი, ფარული ღელვა,
ბედნიერების ბედი, იმედი;
ნაწნავთ ღამეში საყურის ელვა,
მუდარა: ახ, თუ გამილიმებდი!

„— მე შენთვის ღამე
გავათისხამე,
შენთვის ვყინავდი ცრემლების ბროლსა"...
მე ვხედავ ბინდში მიბნედილ თვალებს,
დამწვარ გულიდან ადენილ ბოლსა.

რამდენი თრთოლვა ახსოვს მუხამბაზს,
რამდენი გულის გადაბრუნება,
რამდენჯერ გული შანთით უხაზავს,
დაუდალია მისი ბუნება.

ეს ხმა კი არა, იყო სახმილი,
და ზედ ათასი ება·ისარი, —
გაფიცხებული ვნების ძახილი,
ნანამქერალი, ნამაისარი...

ეხლა კი მღერის ძლივს, ხმაწასული
მთვარეში დამწვართ ოხვრის დამსკვნელად,
როგორც ქალწული დროგადასული
უკანასკნელად, უკანასკნელად!.

შეტირებული, ბედის მჩივარი
ძველი ხმა გულზე მომებოლება...
შაბაშს იძლევა ძველი ჩინარი,
მიაბეს მხარი მისმა ტოლებმაც

სიმღერის ალზე ბაღის ყურეში
მათი ფოთლები შეიტკეცება....
ხმა ხმაურობდა საუკუნეში,
ეხლა დაღლილი ჩვენს წინ ეცემა,
როგორც ფარვანა სანთელს შეხლილი,
როგორც ფრინველი ფრთაშეტეხილი...

მაინც მღერიან და აწვალებენ
და ჩემთვის მიტომ სატანჯურია,
როცა ყურს ვუგდებ მუხამბაზს დაღლილს
როდესაც გულზე არ მრჩება დაღი,
როცა თავისს დროს აცალცალებენ
და მისი ცრემლი აღარ მწყურია...

O

თუ ძველ ყვავილებს მოალპობს ჟამი,
ძველ სიმღერებსაც ჰქონიათ ბედი.
თუ ხმას დაეცა სიბერის შხამი,
ველარც აანთებს გულის აბედი

და ვერც ნამკვდრევმა ჰანგმა ასახოს
და ააჟღეროს ჩვენი ოცნება;
ახალ დღეს,
ახალ ვარდს და გაზაფხულს
ახალი ხმები გაეკოცნება...



„ციტრუსების კრეფა" [illegible] (თვითმოქმედ სახეთა ხელოვნების გამოფენიდან).

# „ლიახვის პირას"

[illegible]

# ვაჟა-ფშაველას „ორი მოთხრობა" რუსულად

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა" ქართული ბიბლიოთეკის ხაზით რუსულად სცემს ვაჟა-ფშაველას ორ მოთხრობას: „დიდებულ საჩუქარს" და „ირემის ცხოვრებას". ამ მოთხრობების თარგმანი შესრულებულია ლიდა ნატროშვილის მიერ.

# ახალი წიგნები

## გალაქტიონ ტაბიძე — „თხზულებანი", მე-3 ტომი

ჩვენი ეპოქის ცხოველმყოფელი წყაროებიდან იძენს პოეტურ შთაგონებას თანამედროვეობის ნიჭიერი მომღერალი — საქართველოს სახალხო პოეტი გალაქტიონ ტაბიძე. ბუნებრივი მდინარებით მოსჩქეფს მისი ლექსებიდან სათუთი კეთილშობილი განცდები: ჩვენი დიდებული სამშობლოსადმი ტრფიალი, ბრძენი ბელადისადმი დაუცხრომელი სიყვარული, თავდავიწყებული გატაცება სინათლით, სიჯანსაღით, სიდიადით.

გალ. ტაბიძის ლექსების მესამე ტომი, რომელიც ახლახან გამოსცა სახელგამმა, მნიშვნელოვანი მოვლენაა საბჭოთა პოეტური კულტურის ფრონტზე. იგი მჭერმეტყველურად მოწმობს, თუ პოეტური აზრისა და განცდის რა სიმაღლეები აქვს დაპყრობილი ჩვენი ეპოქის შესანიშნავ მომღერალს.

წიგნი იხსნება „ჩემი სიმღერის" მელოდიური სტრიქონებით, რომელიც დიდი მუსიკალური ქმნილების უვერტიურას მოგვაგონებს:

„ზოგს ჩაის ვარდი, ზოგს კინოვარი,
ზოგს ოქრომკედით მონაქსოვარი,
სურათი რამე, კარგზე მგლოვარი, —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.
ბარათი, სისხლის ცრემლნატბორავი,
ბეჭედი, ძვირფას ალთა მთოვარი,
საყურე, ტკბილის ჩრდილის მთოვარი,—
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი..
შენი, სამშობლოვ, მსახოვარი,
ჰა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,
ჰა, ჩემი გულიც, რადგან მგზნოვარი
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი"..

თავის ლექსებში გალაქტიონ ტაბიძე გამოხატავს ულრმეს ერთგულებას და ყოვლისმძლე სიყვარულს **ლენინისა და სტალინისადმი**, ანთებული სიტყვებით ღაღადებს იგი ამ უძლიერესი, უდიადესი განცდის შესახებ.

„შენ შენი ქვეყნის ხარ. მტკიცე, მკვიდრი
ბატონ-პატრონი მობინადარე;
ვაშა დიდ სტალინს, მას გრძნობდე ვიდრე
შენ უბრწყინვალეს ორდენს ატარებ.
შენი გულია უდიადესი
ქნარი, რომელიც ფანტავს აკორდებს,
ხუთიათასი, ხუთიათასი
ეს ჩემი ლექსიც ლენინის ორდენს".

ამ განყოფილებაში („ყველას რაიმე აქვს სახსოვარი") ყველა ლექსი ჩვენი სამაყო ეპოქის სიდიადით სუნთქავს. ისინი ძლიერად მეტყველებენ ბედნიერი ხალხის სამშობლოს მშვენებასა, ურყევ ძლიერებასა და სიმტკიცეზე. გალ. ტაბიძეს თავისი უხვი პოეტური პალიტრა ცოცხალსა და მგრძნობიარე ფერებს აწვდის, ამიტომაა ესოდენ მრავალფეროვანი, მრავალხმოვანი არსებითად ერთს დიდ თემაზე (პატრიოტიზმი) დაწერილი მისი ლექსები.

ამ ტომის ერთ-ერთი საინტერესო განყოფილებაა „მოგზაურობა ევროპაში". ლექსთა ეს ციკლი გ. ტაბიძემ შექმნა იმ შთაბეჭდილებათა და პირადს დაკვირვებათა შედეგად, რაც მან მიიღო 1935 წელს, კულტურის დაცვის პარიზის კონგრესზე დელეგატად ყოფნის დროს. დასავლეთის ყოფის დამახასიათებელი მხარე მახვილად და ძალოვან სახეებშია ასახული აქ... „რას იპოვი აქ, საზღვარგარედ?" ასეთი სათაური აქვს ამ განყოფილების პირველ ლექსს. შორეულ ბრეტანსა და ვეზუვთან პოეტის ფანტაზია სცილდება უსიამო სივრცეებს და მოილტვის სამშობლოსაკენ. მაგრამ მისი სტრიქონებიდან ჩნდებიან იმ საშინელ სამყაროში იმედის ნაპერწკლებად გაბნეული კეთილშობილი ფიგურები: კომუნისტის, გაფიცულის, უცხოელი რევოლუციონერი პოეტის, ანრი ბარბიუსის და სხვათა. არ შეიძლება მკითხველმა დაივიწყოს სურათი, რომელიც გ. ტაბიძის ერთს საუცხოო ლექსშია: მარჯვენა მკლავზე დაყრდნობილი, ვიწრო გვირაბის ქვასთან მძინარე მუშა შედარებულია პოეტურ ბარელიეფთან. ასე განშორებია იგი ამ ქვეყნიურ ორომტრიალს და თითქოს ულდის გადამწყვეტ ჟამს, რომ წამოიმართოს და ძალდატანებით მოიპოვოს საკუთარი ადამიანური ღირსება, კუთვნილი ადგილი მზის ქვეშ.. ეს არის მძინარე ვეფხვი გარდამწყვეტი ჰიდილის წინ, — აი შთაბეჭდილება, რომელსაც სურათი ახდენს..

მრავალი შესანიშნავი ლექსით ხელშესახებად, სიცხადით გვიჩვენებს პოეტი კაპიტალისტურ მსოფლიოს.

დასასრულ, განსაკუთრებულ მხატვრულსა და ესთეტიურ ღირებულებას შეიცავენ გალ. ტაბიძის ისეთი ლექსები, როგორიცაა: „წარწერა ანატოლ ფრანსის სურათზე", „ტირიფი, დარიგული ალფრედ-დე მიუსეს საფლავთან", „ვოლტერის ძეგლთან", „რუსთაველი პარიზში", „პუშკინი პარიზში", „ჰეინეს სტრიქონის გამო" და სხვ.

გალ. ტაბიძის ლექსთა ამ ტომის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ღრმა ლიტერატურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტთან. ცხადია, ტომში გვხვდება ზოგიერთი ლექსი, რომელსაც ჩრდილი და ხინჯი ახლავს, მაგრამ ეს როდია დამახასიათებელი, ტიპიური. საერთოდ ეს წიგნი მაღალი იდეური და მხატვრული ოსტატობის მაჩვენებელია.

**ვ. ბაიაძე**

# ქართული ბუნებრივი თქმების გამოყენებისათვის

**ილ. მაისურაძე**

ყოველ ადამიანს, რა ენაზედაც არ უნდა მეტყველებდეს იგი, მზამზარეულად ხვდება თაობათა მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამომუშავებული ენობრივი მასალა ლექსიკური მარაგის ზღვა საგანძურით და სიტყვათა ცვალებადობისა და მათი შეწყობა-შეკავშირების უამრავი შესაძლებლობით. ენის სიტყვიერი ინვენტარი ის მასალაა, რომლის შერჩევითა და აზროვნებასთან მიყენებით მეტყველი ადამიანი გაბმულ ფრაზებად აყალიბებს თავის სათქმელს.

გამოსათქმელი აზრისა, თუ გრძნობისათვის შესაბამი სიტყვიერი სამოსელის მიცემა პირველი და უაღრესად მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ნათელი და კულტურული სტილის გამომუშავებისათვის, ისეთი სტილისა, რომელსაც მოითხოვს ჩვენი სოციალისტური ცხოვრების პრაქტიკა თავისი ვრცელი ასპარეზის ყოველ უბანზე. მაგრამ ენაში თავისთავად არსებული მდიდარი ლექსიკური მარაგის მთელი მოცულობით გამოყენებას აზრის სწორად გადაცემის სამსახურში, ე. ი. ენობრივი ნათელი სტილის მოხმარების უნარს, გამომუშავება სჭირდება, მით უმეტეს, თუ ლაპარაკია არა ყოველდღიურ-სასაუბრო, არამედ მხატვრულ-ლიტერატურულ სტილზე.

მაშასადამე, მოლაპარაკისათვის (მით უმეტეს სიტყვის ხელოვანისთვის) გაგებინების საქმეში მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად არ კმარა მარტოოდენ განცალკევებულ სიტყვათა ცოდნა, საჭიროა ენის ბუნებაზე დაყრდნობით მას შემუშავებული ჰქონდეს სათანადო უნარი ამ სიტყვათა თავისდროული გამოყენებისა და შერჩევა-შეხამებისა, რათა მთელი მისი სუბიექტური ფსიქიკური განაცადი შესატყვის ობიექტურ მონაცემებში გამომჟღავნდეს.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ თანამედროვე სალაპარაკო ქართულ ენას, შევამჩნევთ, რომ თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მას ბევრი რამ გაუკეთებია სიტყვათა შერჩევა-შეხამებისა და მზამეტყველების გამომუშავების საქმეში, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თვით ინდივიდუალური სტილის ჩამოყალიბებისათვისაც.

ჩვენ ვლაპარაკობთ დღევანდელ ქართულში უხვად არსებულ იმ ბუნებრივ, გაქვავებულ გამოთქმა-წინადადებებზე, მზამეტყველების იმ ნიმუშებზე, რომელნიც ხალხის კოლექტიურ ენობრივ ნათხზავს წარმოადგენენ და რომლებსაც ჩვენში „სიტყვის მასალას" უწოდებენ. ამ მონაცემთა განხილვისას ჩვენ სიტყვათა ოდენ გროვასთან აღარა გვაქვს საქმე, არამედ მოხდენილად შეხამებულ სინტაქსურ ერთეულებთან. ისინი ხშირად მშვენიერ პოეტურ სახეებს შეიცავენ დახვეწილი ეპითეტების, მეტაფორების თუ სხვა ფიგურალური განსახეობით შექმნილთ, ხან კი მთელ ფრაზებს წარმოგვიდგენენ ხალხის უზადო სიბრძნითი გამოცდილებით შეთხზულს. მათში, ისე, როგორც პოეტურ ფოლკლორში, გამოსჭვივის ხალხური სტილის სისადავე, ბუნებრიობა, მხატვრულ-შემოქმედებითი ალღო, აზრის სიზუსტე და ეკონომია. ისინი ყოველ ნაბიჯზე ეხმარებიან მოლაპარაკეს და ჰქმნიან ნამდვილ „ენაწყლიანობას".

ძალიან ხშირი და ბნელი ტყის გამოსახატავად ქართველ კაცს რა სიტყვა უნდა მოაგონდეს თუ არა „დაბურული"?. „დაბურული ტყე"! აი სიტყვათა შეხამების მოხდენილი სინტაქსური წყვილი, იმთავითვე შეუღლებული, რომელიც ვინ იცის როდის, ან რომელი ინდივიდის პირველ მხატვრულ თქმაში გამომუშავდა? მის სიძველეს მისივე ფორმაც ამტკიცებს (დაბურული ძველი ქართულით დახურულს ნიშნავს).

ხალხს უამრავი ასეთი მხატვრულ-პოეტური მსაზღვრელები შეუქმნია საგანთა, მოვლენათა, თუ მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვებისათვის, რომელნიც მტკიცედ ჩამჯდარან ჩვენს ენობრივ პრაქტიკაში, ისე, რომ მათი თავიდან აცილება უხერხულადაც მიგვაჩნია. ასეთებია: ტრიალი მინდორი, ატეხილი ჭალა, ლაჟვარდი ცა, ბამბისქულა ღრუბელი, ქორბუდა ირემი, სამარისებური სიჩუმე, თაკარა სიცხე, ყიამეთი ზამთარი, კუნაპეტი ღამე, ნამგალა, ბადრი ან დავახშმებული მთვარე, ცხრათვალა მზე, მოელვარე ხმალი, გულითადი მეგობარი, ხელმოჭრილი კაცი (ძუნწი), გულგატეხილი ადამიანი, გულისხმიერი მოპყრობა, გულის კოვზი, სულის ამოთქმა და სხ.

ასეთი მზა თქმები მარტო მსაზღვრელ-საზღვრულის შეკვრით არ ამოიწურება, ჩვენ საქმე გვაქვს ხშირად მთელი მოვლენის გამოხატვა-დახასიათებასთან, პოეტურ შედარებასთან ან სხვა სახის განსახეობასთან:

„მტრედისფრად ინათა..."
„იქ, სადაც თვალი ავახილე" (დავიბადე)
„მოთმინებით გული გაუწყალდა".
„მეუდაბნოე შეჭკედლებია.."
(ი. ჭავჭავაძე).
„ხელები დაიკაპიწა... კრინტი არ დაძრა..."
„ისეთი სიჩუმე იყო, ბუზის გაფრენასაც გაიგონებდით"
„ისე ბევრი ხალხი იყო, ნემსი არ ჩავარდებოდა".
„ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადა".

ასეთი ვრცელი თქმები უახლოეს კავშირში არიან ანდაზა-გამოცანებთან. შედარებასთან ერთად სიტყვიერ მასალაში დიდი ადგილი უჭირავს აზრის გადატანითს მნიშვნელობას (მაგალითად, „ერთი მუჭა ხალხი" პირდაპირი მნიშვნელობით უაზრობაა). ეს თვისება ამგვარ ტრადიციულ სიტყვიერ სამკაულებს ამათუიმ ენობრივ ფარგლებში მტკიცედ ამწყვდევს და მის სპეციფიკად აქცევს. იმავე სიტყვებით შედგენილ წინადადებათა სხვა ენაზე გააზრება აშკარა უხერხულობას იწვევს და, მაშასადამე, მათი თარგმნაც შეუძლებელი ხდება, ისინი ე. წ. იდიომებს წარმოადგენენ, რაც, ცხადია, ყველა ენებში მოიპოვება (რუსიციზმები, გალიციზმები და სხვ.).

ქართული „სიტყვის მასალის" ეს მდიდარი საუნჯე მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, მისი გამოყენებითი მნიშვნელობაც დიდია, მაგრამ ჯერ არავის უცდია მისი დაგროვება, ლექსიკონის შედგენა და მხატვრულ-მეცნიერული ანალიზი. მისი შესწავლა ფოლკლორისტიკის სფეროში უნდა შევიდეს, მაგრამ ლინგვისტიკური ძიებაც მას არასოდეს არ უნდა შორდებოდეს, ისე, როგორც ჩვენი მწერლებიც შემოქმედებითი მუშაობისას დიდ ანგარიშს უნდა უწევდნენ ქართულ ხალხურ კაზმულსიტყვაობის უხვ საუნჯეს, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელი და გამოუყენებელია (ამ მხრივ დიდ მასალას იძლევა განსაკუთრებით ქუთხური ზეპირმეტყველება).

ჩვენი ყველა დიდი მწერლები წარსული საუკუნეებისა უდიდესი ინტერესით ეპყრობოდნენ მზამეტყველების ხალხურ ნიმუშებს და ხალხის სიბრძნის მთელ საგანძურთან ერთად უხვად იყენებდნენ მათ თავის შემოქმედებაში. სახელოვან სამოციანელ მწერალთა მოღვაწეობა ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელნიც ყოველგვარ „ხალხურის" თავგამოდებული მოსარჩლენი იყვნენ, ამის გარეშე წარმოუდგენელიცაა, ხოლო დიდი შოთა რუსთაველი საოცარი ოსტატობით ხმარობდა ასეთსავე თქმებს ხალხის სიბრძნის წყაროდან უხვად ამოზიდულს.

ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი ცალკე მწერალთა ენა და სტილი, ამიტომაც ჯერ კიდევ ზუსტად არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ გამოჩენილ ქართველ სიტყვის ოსტატთა მეტყველების თავისებურებებზე და აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად არის შეჭრილი ამათუიმ მწერლის შემოქმედებაში ხალხური სიტყვიერების მძლე ნაკადი.

თანამედროვე მწერლობის წინაშე მთელი სიმახვილითაა დასმული სოციალისტური რეალიზმის შესაბამი ენა-სტილისათვის ბრძოლის ამოცანა.

საბჭოთა მწერალი უნდა ჰფლობდეს მსუბუქ, გასაგებ, სწორ და ლამაზ, ყოველგვარი მანჭვისა და ბუნდოვანობისაგან შორსმდგარ ენას, ეს კი აუცილებლად მოითხოვს მშობლიური ენის ბუნების ღრმად ცოდნას, რაც ლიტერატურული ენის დაუფლების გარდა, მოითხოვს ხალხურ, ყოველდღიურ სადა მეტყველებაზე ხანგრძლივ და ყურმახვილ დაკვირვებას, მის ლექსიკურ და განსაკუთრებით კი ბუნებრივ სტილისტური სიმდიდრის ათვისებას, ამით უზრუნველყოფილი იქნება ზემოხსენებული „სიტყვის მასალის" მწერლობაში შესაფერად გამოყენების საკითხიც.

ამით ჩვენ არ ვგულისხმობთ მწერალ-შემოქმედის ისეთ სტილისტურ შეზღუდვას, რომ მას ასპარეზი აღარ დარჩეს საკუთარი სიტყვათშემოქმედებისათვის, ანდა სიტყვათა ორიგინალური შეხამებით სასურველ სახეთა მიღწევისათვის. უდავოა, მწერალს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური ენობრივი (და მხატვრულიც) სტილი, ამის გარეშე ხომ შემოქმედება წარმოუდგენელიცაა, მაგრამ საქმე ის არის, რომ შემოქმედის პიროვნული თქმა ეპოქას უნდა ეხმაურებოდეს, მხარდამხარ უნდა მისდევდეს მკითხველთა მასის სტილისტურ მოთხოვნებს. ამ გზით, მკითხველისათვის მისაღები ენობრივი თავისებურების შეტანით, მწერალს შეუძლია სისტემატურად ამდიდროს საერთო ლიტერატურული მეტყველებაც.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ამდიდრებს მწერალი ხალხური ენის სიტყვიერ მარაგს საკუთარი თქმებითა და ლექსიკით, ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ აკ. წერეთელზე, რომელიც ერთის მხრივ იკვებებოდა რა ხალხურ თქმათა უშრეტი მარაგით, მეორეს მხრივ თავის პოეტურ ლაბორატორიაში შექმნილ ფრაზეოლოგიას აწვდიდა მწერლობას და ამის საშუალებით ხალხს, ხალხი მას ღებულობდა, ვინაიდან მგოსანი ხალხისავე ენის ბუნების ღრმა ცოდნას აყრდნობდა თავის პოეტურ მეტყველებას.

# გ. აბზიანიძე — „აკაკი წერეთელი"

აკაკი წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით, „ზარია ვოსტოკამ" გამოსცა გ. აბზიანიძის ნაშრომი „აკაკი წერეთელი". ეს პატარა წიგნაკია, სულ 55 გვერდს შეიცავს, მაგრამ მასში მდიდარი ბიოგრაფიული და ისტორიულ-ლიტერატურული მასალაა გადაშლილი. ამ გულმოდგინეთ შერჩეულ და დამუშავებულ მასალიდან როგორღაც ბუნებრივად ამოიზრდება ქართველი ხალხის საყვარელი მგოსნის სახე.

სხვიტორი, ქუთაისი, სამოციანი წლების პეტერბურგი, სტუდენტთა გამოსვლები, რომლებშიაც ქართველი ახალგაზრდობა ასეთ მხურვალე მონაწილეობას იღებდა, რევოლუციურ-გამანთავისუფლებელ იდეათა დიდი სამჭედლო (ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ნეკრასოვი), სადაც იწრთობოდა „თერგდალეულების" ფიქრი და გრძნობა, დიდი უკრაინელი კობზარი ტარას შევჩენკო, ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა იტალიაში, უნგრეთში, ირლანდიაში, — გარიბალდი, მაძინი, კოშუტი, ლუი-ბლანი, გერცენი და ბევრი სხვა ცნობილი ისტორიული ფიგურები გაივლიან მკითხველის თვალწინ. მაგრამ მკითხველს თვალი არ უჭრელდება ამ სახელების სიმრავლისაგან, რადგან აქ მასალა უწესრიგოდ არ არის დახვავებული. ავტორი მოხდენილად ხსნის იმ ძაფებს, რომლებიც წარსული საუკუნის სამოციანი წლების ქართულ ლიტერატურას აკავშირებენ მოწინავე საზოგადოებრივ აზრთან რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში.

წიგნში ასახულია ის თავდადებული მუშაობა, რომელიც გაშალეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში რუსეთიდან დაბრუნებულმა „თერგდალეულებმა". მოკლედ, მაგრამ ნათლად არის გაშუქებული მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ეს მნიშვნელოვანი გადასახვევი, „მამების" და „შვილების" ბრძოლა, რადიკალურ-დემოკრატიული იდეების და მათთან ერთად კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრება ქართულ ლიტერატურაში.

ამ ფონზე ნაჩვენებია, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის აკაკის ქართული პრესის, თეატრის, კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა აღორძინების საქმეში. ნაჩვენებია, თუ რა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ეს დიდი მოღვაწე ქართველ მშრომელებთან, თუ რა ღრმად ჰქონდა მის პოეზიას გადგმული ფესვები ხალხურ შემოქმედებაში.

ავტორი გვიჩვენებს აკაკის შემოქმედების მჭიდრო კავშირს ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლასთან ნაციონალური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, მისი შემოქმედების ღრმა ხალხურ ძირებს, რაც აკაკის ილიასთან ერთად, ხდის ახალი ეპოქის მესიტყვედ, ქართველი ხალხის გულის მესაიდუმლედ, ახალი ლიტერატურული ენისა და მხატვრული რეალიზმის ფუძემდებლად ქართულ მწერლობაში.

თვით შავბნელ წარსულშიც ქართველმა ხალხმა შარავანდედით შემოსა აკაკის სახელი, მაგრამ მისი შემოქმედების მთელი შინაარსის მიტანა ხალხის გულამდე, მისი გაცნობა დიდი საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან მკითხველისათვის ხდება მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში, რომელიც უდიდეს მუშაობას აწარმოებს კლასიკური მემკვიდრეობის ასათვისებლად.

გ. აბზიანიძის წიგნი დიდად დაეხმარება ქართველ და განსაკუთრებით არაქართველ მკითხველს ჩვენი ლიტერატურის ამ მნიშვნელოვანი ეპოქის გაცნობაში.

**ა. ჭეიშვილი**

# დისპუტი რომან „კეცხოველის" გარშემო

31 მარტს, მწერალთა კლუბში შესდგება დისპუტი **იაკინთე ლისაშვილის** ახალი რომანის „კეცხოველის" გარშემო.

შესავალი სიტყვით გამოვა **ი. აბაშიძე**. მოხსენებას წაიკითხავს **ბ. ჟღენტი**. კამათში გამოვლენ: **ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, ა. მაშაშვილი, შ. რადიანი, ლ. ასათიანი, გ. თავზიშვილი, ი. ვაკელი, ა. გომიაშვილი, რ. გვეტაძე, ა. ქუთათელი, გ. ნატროშვილი, დ. ბენაშვილი, ე. ასტვაცატუროვი, ს. ეული, ბ. აბულაძე, დ. კასრაძე, პ. ცინცაძე** და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შესვლა თავისუფალია.

# ტ უ ი ა

## გიორგი თედორაძე

[illegible]

გააყრუა.

ტუიამ უცებ ყურები სცქვიტა, წკმუტუნით დაეშვა ზვავის გადანალეწზე, მივიდა ზვავთან და წინა თათებით შეუდგა თოვლის თხრას — ეძებდა ბოიგარს.

დღე და ღამე იყრებოდა, როცა ეს ამბავი მოხდა. ტუია ყნოსვით მიხვდა, თუ რა სიღრმეზე იყო ბოიგარი თოვლის ზვავში. იგი სულ დაიმალა გამოთხრილი თოვლის გვირაბში.

ბოიგარის ჯალაბი დაღონდა, რომ ბოიგარს და ტუიას დააგვიანდათ. მამლებმა საშუალამისო შეჰყივლეს სოფელს. მათ ყივილზე მეწყინას გამოეღვიძა, ადგა, ჭრაქი აანთო, პირველად მამის საწოლს დახედა, მაგრამ საწოლში არავინ არ იყო. მერე გარეთ გაიხედა — არც ტუია სჩანდა, და პატარა ქალაი შიშმა შეიპყრო. ძილში ცუდი სიზმარი ნახა, ვითომ ერთი წინა კბილი ამოვარდნოდა. დედას ღვიძება დაუწყო.

— დედავ, ა, დედავ!

დედას გამოეღვიძა. მეწყინას შეუტია:

— შე დაწყევლილო, რამ გამოგაღვიძა ამ შუაღამეზე? დაწექ, ჩქარა! უგონოთ ხო არ გახდი, ბალღო, შენა?

— დედავ, ბოიგარი და ტუია არ მოსულან, რა დაემართათ ნეტავ?

— დაწევ-მეთქი ჩქარა, შე ბრიყვო,

[illegible]

ცეცხლს მისჯდომოდა. წინდის ჩხირებს ათამაშებდა საწინდე ქსოვილის ნაპირებზე. ტუია მივარდა, მაგრამ ჩვეულებრივი ალერსის ნაცვლად, მკვნესარე წკმუტუნი დაიწყო. წამიწამს გავარდებოდა გარეთ და ისევ შევარდებოდა სახლში, თანაც თავს იქნევდა, თითქოს თვალებით რაღაცას ანიშნებსო.

ქალაი მიუხვდა ტუიას, გაჰყვა გარეთ. ძაღლი მთისკენ გაეშურა, თანაც მალი-მალ უკან იყურებოდა. მეწყინა შეჩერდა, ტუიამ კვლავ მიიხედა და გაჯავრებული წკმუტუნით მივარდა ქალაის. ახლა კი გაიგო მეწყინამ, რომ ტუია მთისკენ ეძახდა.

მთის ვიწრო ბილიკი, რომელიც თეთრი ზოლივით მიიკლაკნებოდა ალპიური მთის ფერდობზე, რამდენიმე წუთით გაწყდა. ტუია და მეწყინა უჯიშო ტყის უღრანში მიიმალნენ. ამ ბილიკს ორივე კარგად იცნობდა. ამიტომ მათ მაინც და მაინც არა სჭირდებოდათ განუშორებლად ევლოთ გზაზე. ტუია დაწინაურდა და რამდენიმე წუთით ადრე მივიდა ბოიგარის უკვე გაცივებულ გვამთან. მან რამდენჯერმე შემოუარა იმ ადგილს, სადაც თოვლისაგან დაბალზამებული გოდერძაულის სხეული იყო ჩაფლული.

მერე გვირაბში შევიდა, ყინვისაგან გათოშილ გვამს დახედა, შემდეგ ბოი-

[illegible]

კეთები და მეზობლები წავიდ-წამოვიდნენ, ტუია საფლავთან მივიდა, უკანა ფეხებზე დაცუცქდა, თვალები ბოღმით დალურსა, თავ-ყელი წინ წასწია და რამდენჯერმე ღმუილით გადააყეფა განშორებული მეგობრის საფლავს.

ტუია ბოიგარის დამარხვის შემდეგ მძიმე სევდამ შეიპყრო. ღამით გარეშე გამვლელებს აღარ უყეფდა. დღისით კიდევ სადღაც იმალებოდა, აღარ ჩნდებოდა. ცუდი რამ დასჩემდა: თითქოს ბუზებს იგერიებსო, თავს აქეთ-იქით იქნევდა. აღარც საჭმელს ეტანებოდა ხალისით.

ერთი კვირა გავიდა გოდერძაულის დასაფლავების შემდეგ. ტუია ახლა აღარ დაჰყვებოდა სამწყესოში ქალაის: თითქოს სალათის ძილმა მოიცვაო, მუდამ სახლის წინ ეძინა. იშვიათად თუ წამოდგებოდა, ისიც ნახევრად. ფეხებს წინ გაიშვერდა, თავს განზე მოიღერებდა, თვალებს დალურსავდა და სადღაც შორს, შორს იცქირებოდა.

რაკი დრო საგაზაფხულოდ იბანდა პირს, თბილ ტაროსს იმდენად გაეთბო ფშავის ხევის თოვლიანი მწვერვალები, რომ ისედაც ანჩხლი არაგვი მთლად აბობოქრებულიყო.

ელიზბარიანთ ბებოსიას პატარა ვაჟაიმ პირუტყვი გაღმისაკენ გალალა. როცა ნახირი ხიდს გასცდა, პატარა

[illegible]

ორუბლები მოსდევდნენ უკან. ისინი მალე წამოეწივნენ „სამყაროს ოქროს თვალს“, „ხმელეთის გულს — ბორბალოს“ და მძიმედ დაჩრდილეს ისინი.

თემის ხალხი მთელი ერთი კვირის განმავლობაში ეძებდა უდროოდ დალუპულთ სოფელ თხილიანიდან მცხეთამდე და ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნეს. დაღუპულები შორს არ წაეღო წყალს. თხილიანიდან ერთი კილომეტრის მანძილზე, ორწყალთან, მდინარის სიპ და დიდ ლოდებში გახერგილიყო მთის ძირიდან მოტაცებული ვერხვის ხე თავის ძირიან-ფესვიანად. აი ამ ხეს შეეჩერებინა ტუია და პატარა ვაჟაი. მათ თავ-პირი ურთიერთისაკენ მიექციათ, ამასთან ვაჟაის ჩოხის კალთა პირში ედვა ტუიას.

კვირაის ძალზე უძილაური კავ-ჩანგლით ხელში წისქვილისაკენ გაემართა. წისქვილს ზემო მხრიდან ეს სიპი და დიდი ლოდები იცავდნენ ლანქრობისაგან. უძილაურს გულმა უთხრა, მოდი აქ ჩავუშვებ ჩემ კავ-ჩანგალს, ეგების აქ არიან გახერგილი თხილიანელი მეგობრებიო. მართლაც, მალე კავ-ჩანგალს ბავშვის გვამი მოედო, მის გვამს ტუიაც ამოჰყვა...

ბებოსიამ თავისი მკვდარი მიიღო. მეწყინამ კი თავისი საყვარელი მეგობარი ტუია თხილიანის ენძელით შემოსილ ქედზე დამარხა, განმარტოებული ვერხვის ძირში.

# დ ე დ ა

## გიორგი კაჭახიძე

სძინავთ მეზობლებს, ჩემს ჭაღარა მამასაც სძინავს,
ღამეა... ხეებს ლანდებისგან თვალი ვერ არჩევს.
ფრთხილი ნიავი დაფაჩუნობს ბუჩქების ძირას, —
არ სძინავს ნიავს და არ სძინავს ქოხში დედაჩემს.
ის ზის კერასთან, შესჩენია ფიქრი ფარული
და ვერ ახერხებს ოცნებათა ფრთების დაშვებას...
ჭუჭრუტანიდან ლამფის შუქი გამოპარული
ეზოში ღამის მაცდურ ლანდებს ეთამაშება.
მიყვარს ეს შუქი და ზეცაში მიმოფანტული
წვრილი ვარსკვლავნი, გუნდ-გუნდად რომ სხედან, ღვივიან
ფიქრშია დედა და შვილების ხმას მონატრული
ულიმის ჩუმად მათ აჩრდილებს, იმედს სხივიანს.
მეოცნებეა, როგორც ზოგი მის ტოლ ქალებში,
ჩემს ბავშვობაში ბევრს ფიქრობდა ჩემს მომავალზე.
ცდილობდა, აზრის ფართო გზაზე ლაღად გავეშვი
და ფრინველივით მენავარდა ამ ქვეყანაზე.
მომავლის სხივით უბრწყინავდა ყოველთვის სახე,
არ უძებნია იმედიანს მეტი ქონება.
ახლაც ინახავს ჩემს ადრინდელ ქუდსა და წაღებს,
ადრინდელ ფიქრის და სურვილის მოსაგონებლად.
არ მთხოვს ფარჩეულს, საჩუქრებით სავსე კალათებს,
ბედნიერია, ტოლკაცებში თუ მზნედ გავივლი.
არ ვიცი, მისი წრფელი გული რით გავანათე,
რით ავაყვავე იმის დღეთა ბაღის ყვავილი!
მოვედი სტუმრად და თბილისის ძალ-ღონე მომყვა,
ვინ მომაშოროს აქ შობილი ამ ბაღს და ვაზებს!
მკვირცხლი ნიავი მშობლიურით მიკოცნის ლოყას
და ჩვენი ყურშაც სიხარულით მახტება მკლავზე.
ნამი წვეთებად ტოტებს სწყდება მწიფე ხილივით,
ამოდის მთვარე იმერეთის დიდების მცველად.
შევდივარ ქოხში, მეგებება დედა ღიმილით,
მჭკნარი ლოყები გაუბრწყინვა სიამის ცრემლმა;
ისმის მამლების გამომწვევი ხმებით ყივილი
და ვარსკვლავები სახურავზე იწყებენ ცვენას.

# ო რ ი ლ ე ქ ს ი

## მ. ლერმონტოვი

* * *

ცივ ნიღაბიდან საოცნებო იდუმალებით
მესმოდა შენი საამო ხმა, ვნებით მდაგველი,
მომჯადოებლად მინათებდნენ შენი თვალები
და მიმზიდველად მიღიმოდნენ ქორფა ბაგენი.

თვალი მოვკარი უნებურად, რიდით შებურვილს,
ყელის სითეთრეს, სათუთ ლოყას, გაშლილს ვარდივით;
ცელქი კულულიც დავინახე მე თვითნებური,
მშობლიურ თმების ტალღებიდან ამოვარდნილი!...

მაშინ მე უცებ გამოვკვეთე ნათელ მშვენებად
წარმოდგენაში ამ ნიშნებით ლამაზი ერთი...
და იმას აქეთ ხორცშეუსხმელს ნაზ მოჩვენებას
სულით ვატარებ, ვუალერსებ და ჩუმად ვეტრფი.

სულ ასე ვფიქრობ: ეს წარმტაცი სიტყვები დღემდე
გამიგონია მე ოდესღაც, შვების მომგვრელნი...
და ვიღაც ყურში ჩამჩურჩულებს, რომ ამის შემდეგ
ისევ შევხვდებით ჩვენ ერთმანეთს, ვით მეგობრები.

## პ ა ტ ი მ ა რ ი*

გამიხსენით ციხის კარი,
დამანახეთ ნათლად დღენი,
შავთვალწარბა კოხტა ქალი,
შავფაფარა მკვირცხლი ცხენი!
ჯერ ჩემს ლამაზს, ეშხით მოსილს,
ტუჩებს ტკბილად დავუკოცნი,
მოვახტები მერე მერანს
და ქარივით ვიფრენ ველად.

მაგრამ სარკმელს ვერა ვწვდები,
დაურაზავთ მძიმე კარი,
შავთვალწარბა შორს, იქ, შვებით
თავის მდიდრულ კოშკში არი;
მერანი კი მინდორ-ველად,
უაღვიროდ, უზრუნველად,
კუდგაშლილი ქარში, მარტო,
მხიარულად დანავარდობს.

მე ობლად ვარ — ჭირს ვერ
დავთვლი:
გარს მარტყია ზღუდე მუქი,
ბნელ კუთხეში ერთი სანთლის
მომაკვდავი ბჟუტავს შუქი;
ისმის მხოლოდ: — კარებს იქით,
ნაბიჯების მწყობრი რიგით
შავი ღამის სრულ სიწყნარეს
გუშაგი რომ არღვევს გარეთ.

თარგმანი ა. სიჭინავასი.

*) ეს ლექსი დაწერილია ლერმონტოვის მიერ მაშინ, როდესაც ის იმყოფებოდა პატიმრობაში პუშკინის სიკვდილზე დაწერილი ლექსის გამო.

# ვალერიან გაფრინდაშვილი

## შალვა რადიანი

რევოლუციის წინადროინდელ ქართულ ლიტერატურაში სიმბოლიზმი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მიმართულებას წარმოადგენდა. ეს იყო შემოქმედებითი სკოლა, რომელსაც ჰქონდა თავისი პროგრამა და თეორია. სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, ემყარებოდა იდეების განსაზღვრულ წრეს, თავისებურ სოციალ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ წინამძღვრებს.

სიმბოლიზმის ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენდა უარყოფა ობიექტიური რეალობისა. ეს რეალობა გამოცხადებული იყო მირაჟად, მხოლოდ ადამიანის „მე“ არის ერთად-ერთი შემომქმედი და კანონმდებელი ყველაფრისაო. სიმბოლისტების შემეცნებაში სამყაროს დაკარგული ჰქონდა თავისი კონკრეტულობა, თავისი რეალური სახე და ის გადაქცეული იყო პოეტური გამოგონების პროდუქტად ან ზერელე ანარეკლად მიღმა „არსებული“ იდეალური სინამდვილისა. სიმბოლისტების შეგნებაში ბუნების კანონების ადგილას, რომელნიც არსებობენ ადამიანთა შემეცნებისაგან დამოუკიდებლად და რომელნიც განსაზღვრავენ ამ შემეცნებას, გამოდიოდა წარმოდგენების თამაში, რომელიც სამყაროს ხვევდა გაურკვევლობასა და უსახობის ბურუსში. სიმბოლიზმისათვის უცხო იყო გონების, შინაგანი მთლიანობის სამყარო. ამიტომ სიმბოლისტური მსოფლმხედველობა საბოლოო ანგარიშში ღებულობდა დასრულებულ ფორმას თანმიმდევრული იდეალიზმისას, რომელიც უკავშირდებოდა რელიგიურ-მისტიკურ ძიებებს.

სიმბოლისტურმა ხელოვნებამ გაწყვიტა კავშირი სინამდვილის ფართო სოციალური ათვისების მოთხოვნასთან და პოეზია აგო იდეალისტური ირაციონალიზმისა და ინტუიტივიზმის პრინციპებზე. სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი ხდება განხეთქილება სინამდვილესთან, ისინი ამტკიცებენ ხელოვნების თვითმიზნურ, ანტისაზოგადოებრივ ხასიათს.

ვალერიან გაფრინდაშვილი თავის შემოქმედებით გვევლინებოდა როგორც ტიპიური სიმბოლისტი. მისი პოეზია წარმოადგენდა ინდივიდუალისტურ განცდათა ანარეკლს. იგი თავიდანვე მოექცა ესთეტიკური ხედვის ვიწრო რკალში. თეორიამ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ თავისი მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა სწორედ ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაში. პოეტი ჩაკეტილი იყო იდეალისტური იდეებისა და წარმოდგენების მოჯადოებულ წრეში.

ქართველი სიმბოლისტებიდან ვ. გაფრინდაშვილი ყველაზე მეტად იყო ფანტასტიკისა და მისტიკის პოეტი. ორეულები, მირაჟები, ფანტომები, ავადმყოფური სახეები წარმოადგენენ მის მხატვრულ თემებს, მისი სამყაროს პერსონაჟებს. ვ. გაფრინდაშვილის ლექსები თითქოს იყო სიზმრების პოეზია.

ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაში მოცემულია ყველა ის მთავარი მოტივი, რაც ახასიათებს საერთოდ სიმბოლიზმს: უარყოფა სინამდვილისა, ოცნება „მიღმა“ ქვეყნის შესახებ, გამოგონილი სახეების დაპირისპირება რეალური სახეებისადმი, ილუზიონიზმი და სხვ. თავის პოეზიაში მან შექმნა საკუთარი ხელოვნური სამყარო. „ორტოდოქსალურ“ სიმბოლისტურ ნაწარმოებად ვ. გაფრინდაშვილისათვის ითვლებოდა ისეთი ნაწარმოები, რომელშიაც გარეგნულად ათვისებული შინაარსი შეიცავდა სხვა, უცნობ შინაარსს, რომელიც გასაგები და მისაწვდომი იყო მხოლოდ ზოგიერთთათვის, ამიტომ არის, რომ მის ლექსებში ჭარბათაა გამომჟღავნებული მისტიციზმი. ვ. გაფრინდაშვილის მიერ გამოხატული მოვლენები დანისლული, გაბუნდოვანებულია, გამქრალია ადამიანებისა და საგნების ნათელი გამოხატულება, არ მოსჩანან ინდივიდუალური ნიშნები, არის მხოლოდ სიმბოლოები, აბსტრაქციები.

სინამდვილის ყოველ მოვლენას და საგანს ვ. გაფრინდაშვილი ითვისებდა „სარკისებურად“. ამის შესახებ იგი თვით ლაპარაკობდა მოხსენებაში — „სტეფან მალარმე“, რომელიც მან წაიკითხა 1917 წელს: „მალარმემ შექმნა ოთახის ესთეტიკა. რასაკვირველია, ოთახის თვალსაჩინო კატეგორია არის სარკე. შეიძლება მალარმე არის პირველი პოეტი, რომელმაც მიაქცია ყურადღება სარკეს, როგორც შემოქმედების საგანს, და მალარმემ მოგვცა სარკის პოეზია. სარკე ხომ უდიდესი სიმბოლოა ჩვენი ყოფნისა. არაფერი ისე მისტიურად არ გამოხატავს ჩვენი ყოფნის ლანდურობას, ჩვენს ორობას, ჩვენს კავშირს წარსულთან და მომავალთან, როგორც სარკე“... (ჟურნ. „მეოცნებე ნიამორები“, 1919 წ., № 2). ეს არის ის „თეორიული“ მოსაზრება, რომელიც ისესხა ვ. გაფრინდაშვილმა ფრანგი სიმბოლისტებისაგან—შარლ ბოდლერისაგან, სტეფან მალარმესაგან და ანრი დე რენიესაგან.

ვ. გაფრინდაშვილის წარმოდგენით, თითოეულ საგანსა და მოვლენას თავისი ორეული გააჩნია, თავისი მეორე სახე აქვს, როგორც სარკეში. სარკეში მოსჩანან ფანტომები, მისტიური ორეულები. ეს მეორე სამყარო, შექმნილი პოეტის მიერ, ფანტასმაგორიული სახეებით არის დასახლებული, რომელიც თითქოს უფრო ნამდვილი და განცდილია:

ვინ არის, სარკის უფსკრულიდან რომ
მევლინება,
ვისი თვალები ემუქრება ჩემს ფერმკრთალ
თვალებს,
ნუთუ მიცქერის საკუთარი ჩემი ჩვენება?
(„მე—სარკეში“).

პოეტს ხშირად დუელიც კი აქვს გამართული თავის ორეულთან: „იარაღით“, „დამბაჩით“ „დანით“, „სამართებლით“, „მათრახით“. ორეულები მას თვითმკვლელობას, დახრჩობასაც კი ურჩევენ: „როცა სარკის წინ მე ვიკეთებ ყელსახვევს ცბიერს, მირჩევს სარკიდან ორეული თავის დახრჩობას“. ვ. გაფრინდაშვილს სჯერა ლანდებისა და მოჩვენებებისა.

ვ. გაფრინდაშვილის სულში ყველაფერი გაორებულია. მოვლენებს, საგნებს იგი მუდამ გაორებული სახით ითვისებს. ეს გაორებული სახეები მას არსად არ შორდებოდნენ. მას თავისუფლად შეეძლო გაემეორებინა ა. ბლოკის სიტყვები იმის შესახებ, რომ გაორებული ხილვანი დაჰყვებიან მას ყველგან. ასეთი გაორებული სახეები მანამდე არ ყოფილა ქართულ პოეზიაში მოცემული. ამიტომ საჭირო იყო დიდი პოეტური ძალა, რომ სრულყოფილად ყოფილიყო გამოხატული ეს უჩვეულო თემა ლირიკაში.

გაჰყვა რა იმ ბილიკს, რომელიც გასტკეპნეს ევროპიულ და რუსულ სიმბოლისტურ პოეზიაში, ვ. გაფრინდაშვილმა შექმნა გამოგონილი ხელოვნური სამყარო და ცხოვრება. მან ეპოსიდან, დრამიდან ლირიკაში გადაიყვანა მთელი წყება სახეებისა. მის პოეზიაში გამოჩნდნენ სიმბოლისტური იერით გაშუქებული ოფელიას, კოლომბინას, კორდელიას და ჰამლეტის სახეები. ამ სახეებს უერთდებოდნენ ჟერარ დე ნერვალის, ტომას ჩატერტონის, ი. მაჩაბლის, მ. გურიელის, გრიშა აბაშიძის გამისტიურებელი სახეები. მაგრამ როგორადაც არ ცდილობდა ვ. გაფრინდაშვილი მთლიანად გადასულიყო ესთეტიკურ გამოგონებათა სამყაროში, სინამდვილე, სულ ერთია, მაინც იჭრებოდა მის შეგნებაში და ლაპარაკობდა თავისი ბუნებრივი ხმით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაში გამოგონებული, ფანტაზიით შექმნილი სამყარო და ამქვეყნიური სინამდვილე ერთმანეთშია არეული.

ვ. გაფრინდაშვილის მრავალ ლექსში გაისმოდა სინამდვილის უარყოფა და რწმენა „მიღმა ქვეყნიური“ ცხოვრების არსებობისა, რომელიც მისი წარმოდგენით უფრო რეალური და იდეალურია. ლანდები, რომლებიც პოეტისათვის ძალზე მახლობელი და მშობლიური იყვნენ, მიმართავდნენ მას „შემოგვიერთდი, ახლობელო, გიცხადებთ ძმობას“, უარყავი ცხოვრება, სინამდვილე, მზის სინათლე და ყოველივეს გაიგებ მაშინ.

ვ. გაფრინდაშვილი ჰქმნის ციკლს ლექსებისას დაისების შესახებ. ბუნების მიმოქცევაში მას ყველაზე მეტად იტაცებდა დაბინდების, შეღამების დრო. მოვლენათა სახეები და სურათები განსაკუთრებით ამ დროს ღებულობდნენ ფანტასმაგორიულ ხასიათს:

საღამო, როგორც ოფელია, ჩაიძირება
და მის მორევში, და ნელინელ
დამტოვებს მარტო.
ჩემი ოცნება ისევ ღამეს შეეწირება
და საღამოზე ვით ჰამლეტმა უნდა
ვიდარდო.
ჩემს ოცნებაში ასვენია ბევრი საღამო
და ჩემი სული დაუტვირთავთ თავის
ნისლებით
როგორც დაკოდილ ნიამორთა გუნდი
საამო,
კრთიან და აღარ მაშინებენ
გამოფხიზლებით.
საღამოებო!, დამატყვევა თქვენმა
სიმკრთალემ,
სპეტაკ ნიავმა მომიტანა აჩრდილის ჭორები:
დღესასწაული ორეულთან იქნება მალე
და ოფელიას თქვენს უფსკრულში
ვეამბორები...
(„საღამოს მასკები“)

ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაში მძაფრად არის გამომჟღავნებული მარტოობის, მწუხარებისა და განწირულების გრძნობა. პოეტი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ „ვარ მარტოობის ჯვარზე გაკრული, მხოლოდ ღამეა ჩემი ტაძარი“, „შავ წყვდიადში, ყველგან კრული, მივდივარ როგორც ელეაზარი!“.

ვ. გაფრინდაშვილი უარყოფდა ყოველსავე ნამდვილს, უშუალოს, ბუნებრივს. სამაგიეროდ მას მოსწონდა ყველაფერი ხელოვნური, გამოგონილი. მისი წარმოდგენით ყოველივე ხელოვნური იძლევა საბაბს ოცნებისათვის, მასში მეტი მისტიკა და გაურკვევლობაა.

ამიტომ, როდესაც ქარში იპოვა ხელთათმანი, შეიყვარა ის ნამდვილ ხელზე უფრო მეტად, იმიტომ რომ მასში თითქოს დამალულია სული უცნობი ქალწულისა:

ჩავდე ვაზაში ხელთათმანი, როგორც
ნარგისი,
და დაღლილ თითებს დღე და ღამე მე
ვუქვირდები.
ჩემთვის სხვა ხელი ამაოა და უვარგისი,
მე ერთგულებას სამარადოს თითებს
ვპირდები...
(„ხელის ორეული“)

ხელთათმანის ხილვამ მოალანდა პოეტს უცხო ქალწული სარკის სიღრმეში. დიდი განცდით აყალიბებს იგი მისტიკურ წარმოდგენას ქალის ავადმყოფი ხელის შესახებ:

„მოდის ღამეში თეთრი ქალი ავადმყოფ
ხელით,
და მევედრება, რომ ჩავაცვა მას
ხელთათმანი...
ღამის მელანში გათენებას ერთად
მოველით.
სტკივა თითები და ლანდურად ერხევა
ტანი...“
(„ხელის ორეული“).

ბუნებრივის უარყოფამ ვ. გაფრინდაშვილი მიიყვანა იქამდე, რომ მას მოსწონდა ადამიანის არა ნამდვილი თვალი, არამედ ხელოვნური, შუშის თვალი. მიმართავს რა იგი „ქალს ჩაჯენილი თვალით“, ეუბნება:

ო, რა უცხოა შენი თვალი, მხიბლავი
ყალბად!
ნეტავი იმას, ვინც ამ თვალზე ნაზათ
გაკოცებს!
თვალის მაგივრად შენ ძვირფას ქვას
მუდამ ატარებ,
რომ მე ყოველთვის ვიოცნებო ხელოვნურ
თვალზე...
(„ქალს ჩაჯენილი თვალით“).

ცხოვრებისა და სინამდვილის თითქმის ყოველი მოვლენა ვ. გაფრინდაშვილს ათვისებული და წარმოდგენილი აქვს დეკადენტურ-სიმბოლისტური პოეზიისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. ქალისა და სიყვარულის პრობლემის გარკვევის დროს იგი ძალიან უახლოვდება ვერლენსა და ბლოკს. ვ.

(დასასრული მე-4 გვ.)

# ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა

**იაკობ ბალახაშვილი**

დაგეროტიპი მისი სახისა არ შენახულა.

თანამედროვეთა გადმოცემით, ის იყო ქერა, პირხმელი სახის ლამაზი ქალი, რომლის მაღალ ტანს მეტად შვენოდა თურმე გულპირამოჭრილი ქართული კაბა.

ეფემიას მამა ზურაბ, იგივე დიმიტრი ორბელიანი მეტად დაახლოვებული იყო მეფე ერეკლესთან. „პატარა კახმა" მას მიათხოვა თავისი ქალის ელენეს ასული ხორეშან, შემდეგში დედა ეფემიასი.

ეფემიას გარდა, ხორეშანს სამი ვაჟი ჰყავდა: გრიგოლ (პოეტი), ზაქარია და ილია.

ქართველთა ჩვეულების თანახმად, მერვე წელში გადამდგარ ეფემიას წერა-კითხვა დედამ შეასწავლა. ჯერ დავითნი აკითხა, შემდეგ სამოციქულო და სახარება. სასულიერო ლიტერატურა მალე საეროთ შესცვალა და ახალგაზრდა ქალი გატაცებით დაეწაფა სამიჯნურო და საგმირო თხზულებებს.

ხუთმეტი წლის ეფემია ცოლად გაჰყვა მელიტონ ბარათაშვილს, რომელსაც სხვა მზითვებთან ერთად სახლიც მიუტანა.

მრისხანე, უხასიათო, ანჩხლი და მყვირალა ქმრის ხელში ეფემია ტანჯულ-წამებული იყო. ამ ნიადაგზე ნიკოლოზ ბარათაშვილს მუდამ უსიამოვნება ჰქონდა მამასთან.

მაგრამ ასეთი არ იყო პოეტის დედა ეფემია, „ის სამგზის კურთხეული ედა" იყო, როგორც ამბობს იონა მეუნარგია. მან შთააგონა თავის ძმას გრიგოლ ორბელიანს დაეწერა ერთი საუკეთესო ლექსთაგანი ქართული მწერლობისა „ჩემს დას ეფემიას".

რაღაც განსაკუთრებული სინაზით უყვარდა გრ. ორბელიანს თვისი და. ეს ძალიან კარგად იცოდა მელიტონმა, ამიტომ ცოლისძმისადმი გაგზავნილ ბარათებში ყოველთვის ეფემიას ამბავსაც ატყობინებდა ხოლმე.

კუბოს კარამდე მტკიცე და ურყევი იყო და-ძმას შორის მეგობრობა, სიყვარული, პატივისცემა და მოკრძალება.

ეფემია საკუთარი შვილივით ზრუნავდა თავის ძმაზე. 1831 წლის 3 სექტემბერს ის სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „საყვარელო ძმაო გრიგოლ! ღმერთსა ვთხოვ შენს შვიდობით ნახვას. ჩემს ამბავს იკითხამ ღვთის მოწყალებით კარგათ. გახლავართ მხოლოდ შენის ჯავრისა და მწუხარების მეტი არა გვჭირს რა. გენაცვალე გრიგოლ შენს თავს გაუფრთხილდი".

და განა მარტო ამ წერილში? ყველგან და ყოველთვის ზრუნავდა იგი ძმაზე, რომელიც ნატრობდა „მშობლიურ მიწის მის ხელთაგან გულს დაყრას".

1832 წლის თებერვლის დასაწყისში ეფემია მოულოდნელად ავად გახდა. იმავე წლის 4 თებერვალს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში მელიტონი სწერდა: „შენი და უძლებად არის".

ამ ამბავმა ძალზე დაალონა გ. ორბელიანი.

საბედნიეროდ ეფემია მალე გამოკეთდა და ადგა ლოგინიდან.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ხასიათის გამომუშავებაში ეფემიამ უდიდესი როლი ითამაშა. ახლა, როცა ეფემიას ცხოვრებას ვეცნობით და ვკითხულობთ მის პირად ბარათებს, ცხადი ხდება, რომ მელანქოლია და უნაზესი ლირიზმი, რომელიც ასე ძლიერად ახასიათებდა პოეტს, უმთავრესად დედიდან მომდინარეობდა. საგნებზე და მოვლენებზედაც დედა-შვილს თითქმის ერთნაირი შეხედულება ჰქონდათ.

თუ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „თბილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის". ეფემიას მიერ იმავე ადრესატისადმი გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „აქაური (თბილისის. — ი. ბ.) ამბავი ღირსი ხსოვნისა არა არის რა, რომ მომეწერა, მხოლოდ ამის მეტი, რომ ამ ქალაქში ამჟამად სკუჩნობა გახლამსთ".

1835 წლის აპრილის პირველ რიცხვებში მელიტონი, მძიმედ ავადმყოფი, ლოგინად ჩავარდა. გრიგოლ ორბელიანს ის ცოცხალთა შორის აღარ ეგონა და ამის გამო იმავე წლის 11 აპრილს თავის ძმას ზაქარიას ასე მიმართავდა:

„იმედი მაქვს, რომ თუ ბარონ როზინი მანდ არის, ნიკოლაი იოსებიჩისა და მუხრანის ბატონის შემწეობით პენციაზე წარადგინოს ეფემია. ეს ერთი ღონისძიება არის საბრალო ეფემიასთვის სანუგეშოდ. ჩვენც ახლა სიღარიბეში ვართ, რომ შემწეობა მაგთენი არა შეგვიძლიან რა. ოხ, რა ძნელია მოსათმენად, რომ კაცი ჰხედავდეს ესრეთ გულის საყვარელს დას უკანასკნელ განწირულებაში და არა შეეძლოს შემწეობა. მომწერე, გითაყვა ზაქარიავ, ყოველივე ეფემიას საქმე დაწვრილებით, ნურას დამიმალავ ჩემს სანუგეშოდ".

არც ერთი ღონისძიება აღარ იყო საჭირო: მელიტონი მალე წამოდგა.

შამილის მიერ ილია ორბელიანის ტყვედ წაყვანამ აატირა მოსიყვარულე დის ჩვილი გული. 1842 წლის 2 მაისს ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს სწერდა:

„ფეფოს მწუხარება გვაწუხებს ყველას: ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს დედაკაცებს ერთი ჰგონიათ, მეტადრე ლეკის ტყვეობა".

1844 წლის დეკემბერს მელიტონს დამბლა დაეცა. შემდეგი წლის 19 იანვარს გრიგოლ ორბელიანი ჯუნგუნიდან ზაქარიას სწერდა:

„რა უნდა ჰქნას უბედურმა სიყრმითვე ეფემიამ, რით შეინახოს ესოდენი წვრილი შვილები, სრულიად ღატაკად დაშთომილნი. ტატოც ნახჩევანში წასულა ლევანთან ერთად. ამდენს ჩვენის თავის ვაივაგლახს ესღა გვაკლდა; რა უყოთ, რითა ან როგორ შევეწივნეთ უსახლკაროსა, უპუროსა, უტანისამოსოს ჩვენს დასა".

მელიტონის დაუძლურებამ და მარჩენალ შვილის თბილისიდან მოშორებამ უაღრესად მოსტეხა და დაადარდიანა ეფემია.

ჯერ ნახჩევანში და მერე განჯაში გამწესებული ბარათაშვილი იშვიათად იცლიდა წერილის საწერად. ეს კიდევ უფრო მომაკვდინებლად მოქმედებდა დედაზე.

თუმცა მშობლებს, სატრფოს, მეგობრებსა და ნათესავებს მოშორებული ბარათაშვილი ამბობდა:

„რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა,
მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,
ნუღა ვეძებავ ჩემთა მშობელთა და
ჩემსა სატრფოს ტკბილ მოუბარსა,—
. . . . . . . . .
სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა
ოხერსა, დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ, გლოვისა ნაცვლად,
მივალალებენ სვავნი მყივარნი",—

მაგრამ „სიყრმითვე უბედურმა" ეფემიამ შვილი მწარედ დაიტირა. მსოფლიო გოდების ზარს გვაგონებენ მისგან მოთქმით ნათქვამი სიტყვები.

„მე უბედური უბედურად ქმნილი მოვაკლდი ჩემს სიხარულს შვილს და რა შვილს, რომლისგანაც მოველოდი ყოველ სიხარულს. ვუი და ვაი ჩემს მოსწრებას, ჩემს თვალების დაბნელებას".

განჯაში 1845 წლის 9 ოქტომბერს გარდაცვლილ და ორი დღის შემდეგ განჯის ეკლესიაში დამარხულ ნ. ბარათაშვილის საფლავის სანახავად და დარჩენილი ქონების ჩასაბარებლად პოეტის სიკვდილის გაგებისთანავე თბილისიდან გაემგზავრა ეფემია.

ოფიციალური დოკუმენტი გვაუწყებს:

**„Она быв в Елизаветополе получила по смерти сына оставшееся имущество".**

ოჯახის მარჩენალისა და უსაყვარლესი შვილის დაკარგვამ უაღრესად შეარყია ისედაც ძალაგამოლეული ორგანიზმი ეფემიასი.

გავიდა რამდენიმე წელი.

1848 წლის უკანასკნელ თვეებში ეფემია ავად გახდა და ლოგინიდან აღარ ამდგარა.

საქართველოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სამმართველოს არქივში დაცული, ჩემს მიერ ნაპოვნი საეკლესიო ჩანაწერი გვაუწყებს:

„1849 წელი.

აღრიცხვა გარდაცვალებულთა: მდედრისა.

თვე და დღე (გარდაცვალებისა): თებერვლის 4.

თვე და დღე (დაკრძალვისა): თებერვლის 6.

წოდება, სახელი და გვარი გარდაცვალებულთა: თავადის მაიორის მელიტონ ბარათოვის მეუღლე კნეინა ეფემია, თავადის ზურაბ ორბელიანოვის ასული.

წელნი გარდაცვალებულთანი: 43.

რაისაგან მოკვდა: დიდის ხნის სნეულებით.

ვინ ათქმევინა აღსარება და აზიარა: დეკანოზმა ალექსიევ-მესხმა.

ვინ აღუგო ანდერძი და სად არიან დასაფლავებულნი: მანვე დეკანოზმა ქაშუეთის ეკლესიის გალავანსა შინა."

1849 წლის 4 თებერვალს გარდაცვლილ ეფემიას შესახებ 12 მარტს გრიგოლ ორბელიანი თემირხანშურიდან ქეთევან ორბელიანთან მიწერილ ბარათში გაოცებული კითხულობდა:

„აქ ეფემიას სიკვდილს ამბობენ, სწორედ კი ვერავისაგან გამიგია".

გრიგოლ ორბელიანი მალე დარწმუნდა, რომ გავრცელებული ცნობა მართალი იყო.

თხუთმეტი შვილის დედამ, — როგორც იონა მეუნარგიამ სთქვა „დაუვიწყარჰყო თავისი სახელი იმით, რომ შეიქმნა დედა ჩვენი სასიქადულო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა".



ნატურ-მორტი [illegible] (თბილისის [illegible] სახლი [illegible] შემოქმედების გამოფენიდან).

# ნორჩ მხატვართა შემოქმედება

[illegible] რული აღზრდის ცენტრალურმა კაბინეტმა, რომ ნორჩ მხატვართა შემოქმედება ფართო საზოგადოებრიობისათვის გასაცნობად გამოიტანა.

ეს გამოფენა ყურადღებას იპყრობს თავისი უშუალობით, ღრმა ოპტიმიზმით და საქმისადმი დიდი სიყვარულის გრძნობით.

ნორჩ ოსტატთა ნამუშევარი შესრულებულია ყოველგვარი ფორმალისტური ჩხირკედელობის გარეშე. აქ ყველაფერი უბრალოდ არის მოცემული, ყველაფერი რეალურია და ამავე დროს დიდი პოეტური განწყობილებით არის შესრულებული.

პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ნორჩი მხატვარი გოგი თოთიბაძე (მე-18 სკოლა, მე-5 კლასი). მის ნახატებს თითქმის მთელი კედელი უჭირავს. იგი ერთნაირი სიყვარულით სწერს როგორც პეიზაჟებს, ისე პორტრეტებს. მის ნამუშევარში უბრალოება და გემოვნება იგრძნობა. ფერების ენა მეტყველია და ლაკონიური. ეს ითქმის მის შემდეგ სურათებზე: „ნაძვის აგარაკი", „პიონერები ზღვის პირად", „ავტოპორტრეტი", „დის პორტრეტი" და სხვა.

მეორე ნორჩ მხატვარს აკაკი კირკიტაძეს (მე-6 სკოლა, მე-6 კლასი) აქვს ფერების კარგი გრძნობა. აღსანიშნავია მისი „ციტრუსების კრეფა".

ა. ვარაზაშვილის (მე-18 სკოლა, მე-7 კლასი) სურათებში გამოირჩევიან „დემნას მოღალატური შეპყრობა" (აკვარელი), კალმით ნამუშევარი ილუსტრაციები და ნატურ-მორტი. პირველ სურათში მხატვარს ისტორიული თემა ყოველგვარი დეკორატიულობისა და ბუტაფორიულობის გარეშე აქვს დამუშავებული. იგი ცდილობს დაუახლოვდეს სინამდვილეს და ადამიანები და საგნები რეალისტურ ფერებში მოგვცეს.

[illegible] წარმოდგენილნი ზ. ლეჟავა (მე-18 სკოლა, მე-9 კლასი) და ბერაძე (ოჩემჩირის საშუალო სკოლა, მე-10 კლასი). ამ უკანასკნელს სხვებთან შედარებით უფრო დიდ ტილოებზე უმუშავნია. მისი სურათები უმთავრესად ისტორიული თემატიკით არის შემოფარგლული. ეს სურათები ნაზ და რბილ ფერებშია მოცემული. მას აქვს კომპოზიციის კარგი გრძნობა.

ცალკე უნდა გამოვყოთ ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ყველაზე ნორჩი მხატვრის თ. ასიტაშვილის სურათები. ეს ბავშვი სულ 10 წლისაა. იგი მესამე კლასის მოსწავლეა. მისი ნამუშევარი განსაკუთრებული დაკვირვებისა და ყურადღების ღირსია. ეს ნორჩი მხატვარი კარგად ახერხებს პატარა ქაღალდის ნაჭრებზე მეტად რთული კომპოზიციების მოცემას. რამდენი უშუალობა, რამდენი ხალისი და სიხარულია გადმოცემული მის მინიატურებში. „ქურთის ქალები", „თვითმფრინავს უცქერიან" და სხვა სურათები ამჟღავნებენ ბავშვის მხატვრულ ნიჭს.

ნორჩ მხატვართა შემოქმედების გამოფენა ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს, თუ რა დიდი შესაძლებლობა აქვთ ჩვენი ქვეყნის ადამიანებს თავიანთი დაუშრეტელი ნიჭის გამოსამჟღავნებლად. აქ ნათლად ხედავთ, თუ რამდენად ბედნიერია ნორჩი თაობა, რამდენად ფართო ასპარეზია მისთვის გადაშლილი ნაყოფიერი შრომისა და შემოქმედებისათვის.

ამ გამოფენის მონაწილე ნორჩ მხატვრებს საქართველოს მხატვართა კავშირმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. მათგან უსათუოდ მივიღებთ თვალსაჩინო სამხატვრო კადრებს.

**ჩ. ნ.**

# ბონდო კეშელავას ლექსების კითხვის საღამო

მწერალთა კავშირის პოეტების სექციამ თავისი მორიგი საჯარო სხდომა 24 მარტს პოეტ ბონდო კეშელავას [illegible] არის.

ბონდო კეშელავამ დამსწრე საზოგადოებას წაუკითხა ორმოცამდე ლექსი, რის შემდეგაც გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ალიო ადამიამ, სიმონ წვერავამ, ბესარიონ ჟღენტმა და სიმონ ჩიქოვანმა.

ბონდო კეშელავა თავისებური ლირიული განწყობილების პოეტია, — ამბობს ადამია, — მას უმთავრესად პირადი ცხოვრების თემებზე ეხერხება წერა. მისთვის დიდი სოციალური თემები, დიდი ტილოები ჯერ კიდევ მიუღწეველი რჩება.

პოეტი მთელ რიგ ლექსებში („მოგონება", „ბულბულს", „ვაჟას", „დედავ თბილისო", „ახალი მთვარე") საინტერესო პოეტურ გამომგონებლობას იჩენს, საკუთარი კუთხიდან უდგება თემას, თბილ ლირიულ განწყობილებას იძლევა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მის ლექსს აკლია პოლიტიკური სიმახვილეო — ლაპარაკობს სიმონ წვერავა.

ბესარიონ ჟღენტის აზრით, ბონდო კეშელავას საკმაოდ აქვს პოეტური პოტენცია, პოეტური გზნება და ნიჭი. მაგრამ მრავალ მის ლექსში პროზაიზმებიც გვხვდება. ბონდო კეშელავა ყოველ თემაზე თანაბრად როდი მუშაობს, — განაცხადა ბ. ჟღენტმა. — იგი არათანაბარი ძალით მიდის ყოველ თემასთან. პოეტმა უნდა იბრძოლოს [illegible]

[illegible] იმასვე დროს ზოგიერთი ლექსი მას გადაჭარბებული რიტორიზმით, მსჯელობით აქვს დატვირთული. იგი მეტის-მეტად ენდობა თავის პოეტურ უშუალობას. მისი პოეტური ხედვა ლირიულია. მას აქვს ორგანიული დამოკიდებულება იმ საგნებისა და მოვლენებისადმი, რომლებსაც იგი ეხება. მაგრამ ეს საგნები და მოვლენები პირადი ბიოგრაფიიდან არიან ამოღებული. მან უნდა სცადოს სოციალურ თემებზე მუშაობა, და თუ ამ თემებზე მუშაობის დროსაც ბონდო კეშელავამ შეინარჩუნა მისთვის დამახასიათებელი უშუალობა, სრული უფლება გვექნება ვილაპარაკოთ მასზე, როგორც ჩვენი საბჭოთა პოეზიის თავისებურ წარმომადგენელზე.

მეტად საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა პოეტ ბონდო კეშელავას საღამომ. კამათში მონაწილე ამხანაგებმა აღნიშნეს პოეტის შემოქმედების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

საღამოზე დამსწრე საზოგადოება გულთბილად შეხვდა პოეტის გამოსვლას.

# „ნიკოლოზ ნეკრასოვი"

სახელგამმა გამოსცა [illegible] წიგნი „ნიკოლოზ ნეკრასოვი". [illegible]

წიგნი შეიცავს 152 გვერდს და ღირს 4 მან.

# „ჯილდო"

[illegible]

წიგნი შეიცავს 136 გვერდს და ღირს 4 მან.

# „[illegible]"

[illegible]

წიგნი შეიცავს 242 გვერდს და ღირს 16 მანეთად.

# ალმანახი—„ლიტერატურული აჭარა" № 5

გამოვიდა აჭარის საბჭოთა მწერლების მხატვრული ლიტერატურის ალმანახის „ლიტერატურული აჭარის" მეხუთე წიგნი.

წიგნის მხატვრულ განყოფილებაში დაბეჭდილია ნ. მალაზონიას, პ. რურუას, შ. იოსელიანის, მ. ვარშანიძის, შ. შუქლაძის, ნ. გვარიშვილის, ქ. რუსიშვილის, გრ. აფხაზავას, გ. სალუქვაძის, ა. იაშვილისა და დ. გოგიტიძის ლექსები და პ. ლორიას მოთხრობა „ახალი ცხოვრება".

კრიტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია ვ. ნიორაძის „მხატვრული ნაწარმოების მაღალი იდეურობისათვის" და ალ. ჩაჩლეიშვილის „ლიტერატურული ტიპები და სახეები".

# უნივერსიტეტის გამომცემლობის გეგმა 1941 წლისათვის

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1941 წელს, უნივერსიტეტის 9 ფაკულტეტისა და საერთო საუნივერსიტეტო გეგმის მიხედვით, გამოსცემს 48 სახელწოდების წიგნს 1.149 ფორმის მოცულობით (საერთო ტირაჟი — 123.200 ცალი).

ფილოლოგიური ფაკულტეტის ხაზით გამოცემული იქნება 12 სახელწოდების წიგნი — 248 ფორმა (ტირაჟი — 25.600 ცალი). აქედან უნივერსიტეტის გამომცემლობამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით უკვე გამოსცა აკადემიკოს კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია", ტომი 1-ლი. მომავალში გამოცემული იქნება: აკად. ნ. მარის „რჩეული ნაწერები", აკად. კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია" მე-2 ტომი, გ. იმედაშვილის „ვეფხის-ტყაოსნის" შესწავლის მიმოხილვა", ა. გაჩეჩილაძის „აკაკი წერეთლის ლირიკა", პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია", აკად. ა. შანიძის „მორფოლოგია", ს. გაჩეჩილაძის „ლიტერატურის თეორია" პროფ. ვ. თოფურიას „ორთოგრაფიული ლექსიკონი" და პროფ. მ. ზანდუკელის „ნარკვევები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან".

ისტორიული ფაკულტეტის ხაზით გამოცემული იქნება 3 სახელწოდების წიგნი — 129 ფორმა (ტირაჟი — 12.000 ცალი), პროფ. სერგეევის „რომის ისტორიის" მე-2 ტომი და აკად. ტარლეს „ახალი ისტორია", 1-ლი და მე-2 ტომი.

ფილოსოფიური ფაკულტეტის ხაზით, გეგმის მიხედვით, უკვე გამოცემულია ერთი სახელწოდების წიგნი — პროფ. მ. გოგიბერიძის „ფილოსოფიის ისტორია".

საერთო საუნივერსიტეტო ხაზით გამოცემული იქნება: ლერმონტოვის საიუბილეო ზეიმთან დაკავშირებით მ. ლერმონტოვის „რჩეული ნაწერები", „სტუდენტთა ნაშრომების კრებული", „ლექციები პედაგოგიკიდან" და სხვ.

# ვალერიან გაფრინდაშვილი

*დასასრული*

გაფრინდაშვილის პოეზიაში ქალი და სიყვარული დაშორებულია რეალობას და მთლიანად გადაყვანილია მისტიკაში:

დიდ სასახლეში განმარტოებით
იგი ცხოვრობდა როგორც ინფანტა,
ტყე შრიალებდა გრძელი რტოებით,
მაღალ სივრცეზე რომ დაიფანტა.
ლურჯ დივანზე თავის ბროლიდან
გამოდიოდა ის მხოლოდ ღამით
და ძვირფას ბეჭედს გაისროლიდა
ღამის უფსკრულში უცხო სალამით..
(„მარტოობის დედოფალი")

მისტიკური ქალის სახე პოეტს ევლინება განსაკუთრებით წვიმის დროს: „მისი ფეხის ხმა მაგონდება მე წვიმის ხმაზე, მის კაბის შრიალს მე მაგონებს ფოთოლთ შრიალი"... „მის სილამაზეს მე მაგონებს დღეს წვიმის წვეთი, და ამ წვიმაში მელანდება თვით უკუნეთი"... („ოცნება წვიმაში"). ეს უცნობი მოჩვენება გამოჩნდება აგრეთვე რომელიმე გარდაცვლილი ადამიანის გასვენებისას. ეს მოჩვენება პოეტის წარმოდგენაში ღებულობს ფანტასტიკური, არა ამქვეყნიური ტრფობის სახეს.

ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაში საგრძნობია ბლოკისა და ვ. ბრიუსოვის გავლენა. ბლოკიდან მოდის მის პოეზიაში ოფელიების, გაორებისა და დაისების თემატიკა. ბრიუსოვიდან ვ. გაფრინდაშვილს აღებული აქვს პოეტური მუშაობის პრინციპი და მეთოდი.

ვ. გაფრინდაშვილი უმთავრესად აზროვნების პოეტია. ამ მოვლენას მკითხველი განიცდის იმ ლექსებშიაც კი, რომლებშიაც ვ. გაფრინდაშვილი ცდილობს უფრო გრძნობით გამოვიდეს. ცივი, განყენებული ჭვრეტა იყო დამახასიათებელი მისი რევოლუციამდელი ლექსების უმეტესობისათვის.

რევოლუციის შემდეგ ვ. გაფრინდაშვილმა შესძლო თავისი სიმბოლისტური წარსულის დაძლევა. „ცისფერი ყანწელების" ჯგუფიდან იგი ერთერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც შეიგნო დეკადენტური პოეზიის უვარგისობა, და გულწრფელად დაიწყო ბრძოლა რეალისტური ლიტერატურის პოზიციებზე განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ქვეყნის ბრწყინვალე წარმატებებმა დიდი ზეგავლენა მოახდინეს გაფრინდაშვილზე, მისი პოეზია გაანთავისუფლეს მისტიციზმისა და ესთეტიზმის ტყვეობიდან, დაუკავშირეს ახალ ცხოვრებას.

ვ. გაფრინდაშვილის უკანასკნელი წლების ლექსები ნათლად მეტყველებენ იმის შესახებ, რომ პოეტმა ორგანიულად შეითვისა სოციალისტური სინამდვილის მოვლენები. მან სრულიად ახალი გაგება მოგვცა პოეტის როლისა სინამდვილესთან დამოკიდებულების საქმეში. ამ გაგებით იგი დაშორდა სიმბოლისტურ წარსულს. ვ. გაფრინდაშვილი სწერდა:

ბევრი მგოსანი ჰყავს ყრუ ბეთხოვენს,
რომელიც გრიგალს უსმენდა შორით.
ცაში ხეტიალს გამოვეთხოვეთ
და მივაშურეთ მიწას ამბორით.
ჩვენ გავიჭერით ქუჩაში მარდათ,
სადაც ახალი გაჩაღდა კერა.
ზაჰესთან ერთად ჩვენ აღვიზარდეთ,
მან გამოსჭედა ჩვენი სიმღერა.
და შეემატა სიტყვას სიმძიმე
უძლეველ რკინის და ფოლადისა.
უკან დავტოვეთ მთვარის ციმციმი,
ტემპი დროშაა ჩვენი ნადისა.
ჩვენი სამშობლო სწრაფად შენდება.
ვიყოთ ლაშქარნი ახალ დროების.
და ჩვენი სიტყვაც ამოცენდება,
იქ სადაც ბრწყინავს მზე წარმოების!
ქარხნის საყვირნი კვლავ გაჰკივიან,
მაშ, მოწინავე რიგებში ყველა!
დღეს პოეზია კოლექტივია,
რომ ემსახუროს ხუთწლედს დამკვრელად!
ალმშენებლობის ვართ პოეტები
და გვასულდგმულებს რიტმი ახალი,
რომ ვიმუშაოთ გადამეტებით —
მივბაძოთ სტალინს, როგორც მაგალითს!
(„სიმღერა")

ვ. გაფრინდაშვილის პოეზია უკანასკნელი წლების მანძილზე მკაფიო მაჩვენებელია იმისა, რომ ამ მდიდარი ესთეტიკური კულტურის პოეტმა სერიოზულად და ღრმად გაიგო რევოლუციური ეპოქის ვითარება. მისი ლექსების მეორე წიგნი, რომელიც გამოვიდა ამ სამიოდე წლის წინად, წარმოგვიდგენს სინამდვილის მოვლენებთან დაკავშირებულ შემოქმედს, რომელიც ცდილობს ასახოს ყოველივე ღირსშესანიშნავი თავის ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებიდან. ქართული საბჭოთა პოეზიის მიღწევას წარმოადგენს ვ. გაფრინდაშვილის ისეთი ლექსები, როგორიცაა **„ლენინი"**, „ოცნება ბელადზე", „ჩემი ქვეყანა", „ოქტომბრის სტრიქონები", „საარჩევნო სიმღერა", „წითელარმიელი", „ინათი და ყორათი", „ფერო", „ქუთაისი", „საღამო საგურამოში", „ილია ჭავჭავაძე", „პუშკინს", „შოთას" და სხვ.

დიდი პოეტური ოსტატობა და აღფრთოვანება ახასიათებს ვ. გაფრინდაშვილის იმ ლექსებს, რომლებიც მიძღვნილია ამხანაგ **სტალინისადმი.** კარგად სწერდა პოეტი, რომ ბელადის დიადი სახისა და საქმის გამოხატვა — ეს მეტად საპატიო და მიმზიდველი თემაა ყოველი ნამდვილი შემოქმედისათვის:

ეს ოცნებაა თვითეულ მხატვრის,
ეს არის ფიქრი ყოველ პოეტის —
ასახონ იგი, ვით თვალი ნატვრის,
და შთაგონება მთელ საბჭოეთის.
(„ოცნება ბელადზე")

ვალ. გაფრინდაშვილის ლექსები, რომლებიც მიძღვნილია ბელადისადმი, ყველა გამსჭვალულია ლირიკული ამღერებით და პოლიტიკური სიმახვილით.

საბჭოთა სინამდვილის საფუძველზე შექმნილი პოეტური ნაწარმოებები ვალ. გაფრინდაშვილისა ხასიათდებიან თემატიური მრავალფეროვნებით, ჯანსაღი გრძნობით, საზოგადოებრივი ინტერესითა და აქტუალობით. ეს ლექსები გამოირჩევიან პოეტური თავისებურობით და წარმოადგენენ საბჭოთა პოეზიის მიღწევას.

უახლოესი პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორიაში ვალერიან გაფრინდაშვილი შევიდა როგორც ერთ-ერთი შესანიშნავი პოეტი. ეს ადგილი მან დაიჭირა თავისი პოეტური ოსტატობით, შემოქმედებითი პირდაპირობით და გულწრფელობით.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი) ტელეფონი 3—47—10.

უე 8952

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.